# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№16 (10019) 2026 წლის 9 თებერვალი, ორშაბათი




12

## დავით აღმაშენებლის დღე ქუთაისში

## მეცნიერებათა აკადემია 85 წლისაა

# მესაძირკვლენი



ნიკოლოზ მუსხელიშვილი



სიმონ ჯანაშია



აკაკი შანიძე



გიორგი ჩუბინაშვილი



ნიკო კეცხოველი



როინ მეტრეველი

აკადემიკოსი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

6-7

დღეს, როცა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით **უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალგანვითარებულ ქართულ მეცნიერებას,** ეროვნული აკადემია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ახალ გამოწვევებს და აცნობიერებს მას...

თეიმურაზ ქორიძე:

## საგან-მანათლებლო აურზაური 57 უნივერსიტეტის ფონზე!..

4



# ჯეფრი ეპშტეინის საქმის დეტალები

გარყვნილებითა შენითა
მოიპოვე სიკვდილი შენი!..




იხ. 5 გვ.

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## 78-ე მუხლი თავს მოგვახვია მეტროპოლიამ კოლონიის მონური მორჩილების დეკლარირებისთვის

3



## სასეირნოდ... შვეიცარიაში



54:3

რაგბი ევროპის 17-გზის(!) ჩემპიონმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ახალი თავკაცის – პიერ-ანრი ბრონკანის დებიუტი სტუმრად შვეიცარიის გუნდთან ტიტულის იოლი დაცვით დაიწყო – 54:3.

მასპინძლებს ღირსეულად საბრძოლველად ძალები მხოლოდ პირველ ტაიმში ეყოთ – 3:7, შესვენების შემდეგ კი ბორჯღალოსნებმა ლელოების რაოდენობა 8-მდე გაზარდეს (მეტრეველი, ტაბუცაძე, ჯავახია, ჯალაღონია (2), თაფლაძე (2), საჯარიმო ლელო), ხოლო რეალიზაცია ზუსტად 7-ჯერ მატკავამ შეასრულა. შეგახსენებთ, რომ ამავე მეტოქეს შარშან თბილისში უმოწყალოდ გავუსწორდით – 110:0, პირველი შეხვედრა კი გასულ საუკუნეში სტუმრად ძლივს მოვუგეთ – 22:21.

## გუშინ, დღეს, ხვალ...

### ევროკომისიის კვლევა:

# საქართველო უალტერნატივო სტრატეგიული დერეფანია!

**ევროკომისიის 2026 წლის მეტა-კვლევა საქართველოს უალტერნატივო სტრატეგიულ დერეფნად აღიარებს, რომელიც ევროკავშირს ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. დოკუმენტში „შუა დერეფნის“ (TCTC) განვითარების პრიორიტეტები დეტალურადაა გაწერილი.**




**კვლევის თანახმად,** ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი სტრატეგიულ პრიორიტეტად არის დასახელებული ევროპული სატრანსპორტო ქსელის გაფართოების ფარგლებში.

**„ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი დასახელებულია სტრატეგიულ პრიორიტეტად ევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) გაფართოების ფარგლებში. აქცენტი კეთდება მის სრულ ინტეგრაციაზე სარკინიგზო და საგზაო მაგისტრალებთან“,** – აღნიშნულია დოკუმენტში.

ამასთან, დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ პორტი, რომელიც ჩინური კონსორციუმის მიერ შენდება, გახდება შავი ზღვის რეგიონის უმსხვილესი სატრანსპორტო კვანძი და მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოს როლს საერთაშორისო ვაჭრობაში. ევროკომისია ყურადღებას ამახვილებს შავი ზღვის წყალქვეშა ოპტიკურ კაბელზე (BSSC):

**„შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი – ფლაგმანური პროექტი (ბიუჯეტი 70-90 მილიონი ევრო მხოლოდ ციფრული ნაწილისთვის), რომელიც პირდაპირ აკავშირებს საქართველოს რუმინეთთან“,** – აღნიშნულია კვლევაში.

კვლევის მიხედვით, პროექტი, რომელიც ენერგეტიკულ და ციფრულ ინფრასტრუქტურას აერთიანებს, საქართველოს რეგიონულ ციფრულ ჰაბად აქცევს. პროექტის მთლიანი ღირებულება ენერგეტიკული და ციფრული კომპონენტების ჩათვლით 2.3 მილიარდ ევროს აღწევს.

დოკუმენტი რამდენიმე კრიტიკულ პროექტს ასახელებს: აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი: ჩუმათელეთი-არგვეთის მონაკვეთი, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთი, ქობულეთის შემოვლითი გზა.

ევროკომისია რეკომენდაციას უწევს მდინარე რიონზე ახალი ხიდის მშენებლობას და მისასვლელი გზების მოდერნიზაციას, როგორც „საცობების მოხსნის“ ნაწილს.

დოკუმენტში ასევე ყურადღება გამახვილებულია ევროპული მართვის სისტემის (ERTMS) დანერგვისა და ლოკომოტივების განახლების აუცილებლობაზე.

**კვლევაში აღნიშნულია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზაზე ახალქალაქის სადგურზე ტვირთების სწრაფად გადატვირთვის თანამედროვე სისტემა დაინერგება. კვლევაში ორი მთავარი ლოჯისტიკური ცენტრია დასახელებული: ქუთაისის ჰაბი, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის მთავარ გზატკეცილთანაა განთავსებული და თბილისის ცენტრი, სადაც ტვირთები ეფექტურად გადანაწილდება.**

**კვლევაში აღნიშნულია, რომ ორივე პროექტი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ ცენტრებს მოიცავს. დოკუმენტის მიხედვით, საქართველო განიხილება, როგორც ენერგეტიკული დამოუკიდებლობის და მწვანე ენერგიის ექსპორტის რეგიონული ცენტრი. კვლევაში ხაზგასმულია: განახლებადი ენერგიის წარმოების პოტენციალი, მწვანე წყალბადის წარმოება და ექსპორტი, შავი ზღვის ენერგო-კაბელის პროექტი.**

კვლევაში ვკითხულობთ, რომ საქართველო რეგიონულ ციფრულ ჰაბად ყალიბდება რამდენიმე მიმართულებით. ჩამოთვლილია კომპონტენტები: კასპიისა და შავი ზღვის ქვეშ კაბელების გაყვანა აზია-ევროპის დასაკავშირებლად; თბილისში ინტერნეტ-გაცვლის ცენტრის შექმნა იგეგმება, რომელიც საშუალებას მისცემს ინტერნეტ-ტრაფიკი რეგიონშივე დარჩეს, რაც ხარისხს გააუმჯობესებს და ხარჯებს შეამცირებს; Log-in Georgia და REDI პროგრამები ქალაქგარეთ ფართოზოლოვანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავს მიზნად. ევროკომისია აქცენტს აკეთებს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაზე. ეს გულისხმობს ახალი ციფრული საბაჟო სისტემების (NCTS და SEED) დანერგვას, რომლებიც ავტომატურად გაცვლიან ინფორმაციას ევროკავშირთან. პორტებში ერთიანი ციფრული პლატფორმა შეიქმნება, რომელიც დააკავშირებს პორტს, საბაჟოსა და რკინიგზას. ასევე, დაინერგება ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების სტანდარტები, მათ შორის მონაცემთა დაცვისა და 5G ქსელის უსაფრთხოების სისტემები.

დოკუმენტის მიხედვით, ევროკომისია საქართველოში რამდენიმე დიდ პროექტს აფინანსებს: **ევროპის საინვესტიციო ბანკი – საგზაო ინფრასტრუქტურას, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი – სარკინიგზო მოდერნიზაციას და ლოჯისტიკას, მსოფლიო ბანკი – ენერგეტიკულ პროექტებს.**

**„საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ევროპული ქსელის პირდაპირ გაგრძელებად არის მოაზრებული“,** – აღნიშნულია კვლევაში.

ევროკომისიის მეტა-კვლევა საქართველოს, როგორც „კარიბჭეს“ და რეგიონულ ენერგეტიკულ-ციფრულ ჰაბს განიხილავს.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ქვეყნის ინფრასტრუქტურული მოდერნიზაცია და ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობა პირდაპირ აისახება ევროპის ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ვაჭრობის სტაბილურობაზე.

**„ევროკომისიისთვის საქართველო „შუა დერეფანია“ – „კარიბჭე“ და რეგიონული ენერგეტიკული თუ ციფრული ჰაბი. ქვეყნის ინფრასტრუქტურული მოდერნიზაცია და ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობა ევროპის ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ვაჭრობის სტაბილურობაზე პირდაპირ აისახება“,** – აღნიშნულია დასკვნით ნაწილში.

# „დანონის“ ბავშვთა კვების პროდუქტებს გულდასმით ამოწმებენ!

**სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მულტინაციონალური კომპანიიდან „დანონი ნუტრიცია“ მიიღო შეტყობინება „დანონის“ პროდუქციის კონკრეტული პარტიების ბაზრიდან გამოთხოვის შესახებ, რაც განპირობებულია პრევენციით, კონკრეტულად, ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს (EFSA) ახალი სახელმძღვანელო მითითებებით და არ უკავშირდება სურსათის უვნებლობის სტანდარტების დარღვევას,** – ინფორმაციას **სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**




სააგენტოს ინფორმაციით, 2026 წლის 2 თებერვალს ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანომ (EFSA) ბავშვთა კვებისთვის დააწესა ცერეულიდის (cereulide) დაბალი ზღვარი. წარმოების პერიოდში კი „დანონის“ პროდუქცია სრულ შესაბამისობაში იყო ევროკავშირის ყველა მოქმედ რეგულაციასთან, თუმცა, კომპანიის მაღალი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება, კონკრეტული პარტიების ბაზრიდან გამოთხოვის შესახებ (ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე).

**„აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, მულტინაციონალური კომპანია დანონის „ნუტრიციის“ ბრენდის პროდუქტების იმპორტიორმა საქართველოში – კომპანია „ჯისი Georgian Info Service“ (სკ 211357850)-მ მიიღო მყისიერი გადაწყვეტილება სარეალიზაციო ქსელიდან სურსათის კონკრეტული პარტიების ამოღების შესახებ – დაუკავშირდა დისტრიბუტორს და მიმდინარეობს საწყობის დეტალური ინვენტარიზაცია.**

**პირველადი მონაცემებით, საწყობში აღნიშნული პარტიის პროდუქცია არ იძებნება. აღმოჩენის შემთხვევაში კი, შემდგომი რეაგირების მიზნით, სურსათი დაილუქება. სურსათის ეროვნული სააგენტო პროცესზე სრულ ზედამხედველობას ახორციელებს და შედეგების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საზოგადოებას. ცერეულიდი (cereulide) არის ტოქსინი, რომელიც წარმოიქმნება Bacillus cereus-ის ზოგიერთი შტამის მიერ და იწვევს ღებინებას, დიარეას და სისუსტეს“.**

### დანილო გეტმანცევი:

# ჩვენ სავალუტო ფონდთან პროგრამის ჩაშლის ზღვარზე ვართ!

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგრამების ჩაშლის გამო უკრაინა ფინანსური კატასტროფის ზღვარზეა. შესაბამისი განცხადება უმაღლესი რადას დეპუტატმა, საფინანსო საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა დანილო გეტმანცევმა გამოცემა Новини.LIVE-თან ინტერვიუში გააკეთა.**



დეპუტატის თქმით, მთლიანობაში უკრაინამ სავალუტო ფონდისგან 8,5 მილიარდი დოლარი უნდა მიიღოს. მან აღნიშნა, რომ ყველა სხვა სახსრებიც ფონდთან არსებულ პროგრამაზე მიბმულია.

**„ის, რომ უკრაინამ შესაძლოა ეს თანხები ვერ მიიღოს – რეალობაა. სხვათა შორის, მინდა, ეს პირველ რიგში იმ მატყუარებმა მოისმინონ, რომლებიც უმაღლეს რადაში ამა თუ იმ გადაწყვეტილებას აკრიტიკებენ... ჩვენ სავალუტო ფონდთან პროგრამის ჩაშლის ზღვარზე ვართ. თუ ფონდის წინაშე ამ ვალდებულებებს არ შევასრულებთ, ფინანსური კატასტროფა მოხდება. ეს ყველასთვის ცუდი იქნება“,** – განაცხადა პოლიტიკოსმა.

მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტრანში არ იქნება, თუ პროგრამის პირობები არ შესრულდება, ამან კი შესაძლოა უკვე უახლოეს თვეებში სოციალური გასაცემლების შეწყვეტა გამოიწვიოს.



## დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# 78-ე მუხლი თავს მოგვახვია მეტროპოლიამ კოლონიის მონური მორჩილების დეკლარირებისთვის




**საზოგადოებაში სულ უფრო აქტუალური ხდება კითხვა – რატომ არ უქმდება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო კურსს. „ერთიანი ნეიტრალური საქართველო“ გავრცელებულ განცხადებაში წერს, რომ ვიდრე საქართველოსთვის უკვე საფრთხექცეულ ევროინტეგრაციის ილუზიას თავს არ დავაღწევთ, ქვეყანას დამშვიდება არ უწერია. პარტია სვამს კითხვას – არის კი მართებული და ეროვნულ ინტერესებთან, მათ შორის ქვეყნის უსაფრთხოების პრინციპებთან, თავსებადი ის საგარეო კურსი, რომელიც ხელისუფლებას აქვს არჩეული და საუბედუროდ, კონსტიტუციური ჩანაწერითაა გამყარებული?**

**დაიწყება თუ არა დისკუსია კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის გაუქმებასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით შეიძლება შედგეს ჯანსაღი დისკუსია. როგორც ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, დისკუსია უნდა იყოს ღია, ეფუძნებოდეს არგუმენტებს და საზოგადოებას მიეწოდოს მეტი ინფორმაცია ყველა თემასთან დაკავშირებით. ირაკლი კობახიძის თქმით, გაცხადებული მიზანია, რომ საქართველო გახდეს საბოლოოდ ევროკავშირის წევრი. თუმცა, კონსტიტუციური ამოცანა არის კონსტიტუციური ამოცანა...**

„პოლიტიკურ სპექტრში ძალიან ბევრი სპეკულირებს ყველაფერზე. ზოგადად, რაც შეეხება დებატების შემოთავაზებას, ნებისმიერი სუბიექტისგან ნებისმიერი თემა შეგვიძლია ავიღოთ და ნებისმიერ საკითხზე შეგვიძლია დისკუსია გავმართოთ. მთავარია, რომ ელემენტარული პრინციპები იყოს დაცული. ერთ-ერთი პრინციპია კონსტიტუციური პრინციპის აღიარება. ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით შეიძლება შედგეს ჯანსაღი დისკუსია. აქ საუბარი იმაზე ხომ არ არის, რომ გინდა თუ არა, უნდა გადავხედოთ ჩვენს კონსტიტუციურ ამოცანას“.

პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი აცხადებს, რომ ევროპული კურსის შესახებ საკითხი თუ რომელიმე დებატის ფორმატში იქნება წარმოდგენილი, რა თქმა უნდა, ხელისუფლება საკუთარ პოზიციას გამოხატავს. თუმცა, იქვე ამბობს, რომ რაღაც თემა ტაბუირებული უნდა იყოს და ამაზე აზრის გამოთქმაც კი დანაშაულად ითვლება. რაც შეეხება დებატებს კონსტიტუციის 78-ე მუხლის შესახებ, სადაც განსაზღვრულია ევროკავშირში ინტეგრაცია, ქადაგიშვილმა აღნიშნა, რომ კონსტიტუციის არცერთ მუხლში არ წერია, რომ ვიღაცას განსხვავებული აზრი თუ აქვს ამასთან დაკავშირებით, აზრის გამოთქმის ან შეპასუხების უფლება არ აქვს.

„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი **ლევან ნიკოლეიშვილი** არ ფიქრობს, რომ ვინმესთან რამე კავშირი უნდა გავწყვიტოთ. მისი თქმით, არ უნდა ვიყოთ ბლოკის წევრები, ვიცხოვროთ ვიღაცების მითითებით.

**„შეერთებულმა შტატებმა რეალურად ამხილა ევროკავშირი იმ მაქინაციებში, კორუფციულ გარიგებებში, ქვეყნის სუვერენიტეტში ჩარევის საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ჩვენ ხომ ვართ იმის მომსწრენი, რომ ევროკავშირი არის ის სტრუქტურა, ის ბიუროკრატია, რომელიც ხშირ შემთხვევაში, რადიკალურ ძალებს აფინანსებს. არ ვფიქრობთ, რომ ვინმესთან რამე კავშირი უნდა გავწყვიტოთ. უბრალოდ, ჩვენ არ გვინდა, რომ ვიყოთ ბლოკის წევრები, არ გვინდა, რომ ვიცხოვროთ ვიღაცის კარნახის მიხედვით და ვიღაცების მითითებით.**

**ჩვენ გვინდა, რომ ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენს საზოგადოებას სჭირდება, ჩვენი ეროვნული ინტერესების შესაბამისად და აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყანასთან, ყველა ორგანიზაციასთან – იქნება ეს ევროკავშირი, შეერთებული შტატები თუ ცალკეული ქვეყნები, დავამყაროთ თანასწორუფლებიანი ურთიერთობა“**, – განაცხადა **ლევან ნიკოლეიშვილმა.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** იხსენებს საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებას, რომელმაც საქართველოს უთხრა, რომ სულ სხვა გეოგრაფიულ განზომილებაში იმყოფება და ვერ გახდება ევროკავშირის წევრი

**„დროსა და სივრციდან უნდა ამოვიდეთ. როდესაც ჩაიწერა კონსტიტუციაში 78-ე მუხლი, გვახსოვს, როგორი ზეწოლა იყო. ეს რომ არ ჩაგვეწერა, ვიცით, რა და როგორ იქნებოდა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ხელისუფლების ჭკვიანმა წარმომადგენლებმა შეხედეს და ჩათრევას, ჩაყოლა ამჯობინეს, მაგრამ ვითარება შეიცვალა. თვითონ აშშ ლაპარაკობს, რომ არ მინდა ეს ნატოო. გამოვიდა გერმანიის წარმომადგენელი და თქვა შემდეგი სისულელე, რომ არ მეგონა, მარკ რუტე ამერიკის აგენტი თუ იყოო!!!**

**შეხედეთ, რა დონის დეგრადირებაა – ამერიკის შექმნილია, ამერიკა ხარჯავს ყველაზე მეტ ფულს, 99% ამერიკელი ჯარისკაცი და ტექნიკაა, ამ დროს, ეს იძახის, რომ არ მეგონა, ნატოს გენერალური მდივანი ამერიკის აგენტი თუ იყოო. აბა, ვის დააყენებდა? – ხაზეიშვილს? ე.ი. აშშ-ის პრეზიდენტი ამბობს, რომ არ მინდა ეს ნატოო და შენ კიდევ ვიძახი – მოვდივარ შენკენო. კი მაგრამ სად, მიდიხარ, სად?! იგივე ის ევროპა გიჟებითაა სავსე, ვერ ხედავთ?**

**დიდი ქართველი ნიკო ნიკოლაძე ამბობდა – „საქართველო ჰგავს იმ მზესუმზირას, რომელიც თავს იქით მიაბრუნებს, საიდანაც მზე ამოდისო“. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი და თუ გვინდა გადარჩენა, ასე უნდა ვიყოთ. როდესაც დაიწყება საუბარი 78-ე მუხლის გაუქმებაზე, ე.წ. „კარმოშკას“ ვინც იღებდა, ისინი დაიწყებენ წივილს, მოაზროვნე საზოგადოება და საქართველოს ძირითადი მოსახლეობა ამ საკითხს მხარს დაუჭერს“**, – აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე.**

პოლიტიკოსი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** აცხადებს, რომ კონსტიტუცია ძირითადი საფრთხეებისა და გამოწვევების ასახვის უმთავრესი და უზენაესი პილიტიკური და სამართლებრივი აქტია. მისი თქმით, 2017 წელს, როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრი, წინააღმდეგი იყო ამ მუხლის დებულების მიღების, რომლის მიხედვით, თურმე, ქართველი ერის ისტორიული და ცივილიზაციური არჩევანი ყოფილა ევროატლანტიკური სივრცე!

**„ცხადი იყო, 78-ე მუხლი თავს მოგვახვია მეტროპოლიამ კოლონიის მონური მორჩილების დეკლარირებისთვის და მაშინ ხელისუფლებამ ვერ გაბედა, ამას დაპირისპირებოდა! დღეს ვითარება არსებითად შეიცვალა და ყველა კარგად ხედავს, რომ ევროკავშირში დაწყებულ ცენტრიდანულ მოძრაობას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, ისევე, როგორც უკმაყოფილო, ბრიუსელის ნეობოლშევიკური და პროტექციონიზმით გაჯერებული მართვა-გამგეობისა!**

**78-ე მუხლი, თქვენ სწორად აღნიშნეთ, არის მკვდრადშობილი პოლიტიკური რუდიმენტი და მისი დებულების ამოღება დროით განპირობებული აუცილებლობაა, რათა საქართველოს ხელი გაეხსნას, იყოს რეგიონული უსაფრთხიების არქიტექტურის მონაწილე და ახალი უსაფრთხოების ქოლგის ძიებაში არ დაზარალდეს.**

**დღეს ევროკავშირს თავისი გასჭირვებია და მის წიაღში მზარდი ტურბულენციის ფონზე, სასწრაფოდ უნდა ვიზრუნოთ, შევცვალოთ პოლიტიკური საგარეო პრიორიტეტები და ქცევის მოდუსი დავუკავშიროთ ორგანულ სახელმწიფოებრივ ინტერესს, რაც, მათ შორის, გულისხმობს მეზობელ რუსეთთან, რომელთანაც 840 კმ-იანი საზღვარი გვაკავშირებს, მოვახდინოთ ძირეული გადატვირთვა ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური ფასის განსაზღვრის მიზნით!“**, – აღნიშნა **დიმიტრი ლორთქიფანიძემ.**

**თამთა ქარჩავა**

# ვიქტორ ორბანი: 2026–2030 წლები ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე საშიში იქნება!

**უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ ორ კვირაში ვაშინგტონში „მშვიდობის საბჭოს“ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ჩავა.**

ამასთან, ქალაქ სომბატჰელიში, „ომის საწინააღმდეგო მიტინგზე“ სიტყვით გამოსვლისას ორბანმა განაცხადა, რომ ბრიუსელში უკვე შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი ომში 2030 წლისთვის ჩაერთვება.



**„არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი ომში 2030 წლისთვის ჩაერთვება და მათი მოსახლეობა ამისთვის ემზადება. ევროკავშირმა ომის ეკონომიკაზე გადასვლა გამოაცხადა. ამიტომ 2026-2030 წლების პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე საშიში იქნება. 2026 წელი ომამდე ბოლო არჩევნებია, ამიტომ ჩვენ ომის საწინააღმდეგო მიტინგებს ვატარებთ“**, – განაცხადა ორბანმა.

ორბანის თქმით, დღეს ყველაზე დიდი საფრთხე ის არის, რომ უნგრეთს ფულს, რომლის გამოყენებაც ქვეყნის ეკონომიკისთვის სურთ, წაართმევენ და უკრაინას გადასცემენ.

**„უკრაინელები 1,5 ტრილიონ დოლარს ითხოვენ, რაც ჩვენს ფულსაც მოიცავს. უკრაინის ტერიტორიაზე რუსებთან შეთანხმების გარეშე თუ ევროკავშირის ერთი ჯარისკაცი მაინც გამოჩნდება, ეს ნიშნავს, რომ ომში შევედით და ევროკავშირის ხელმძღვანელობა არ იქნება კმაყოფილი კავშირის მხოლოდ ნახევრის ომში მონაწილეობით, ბრიუსელი ზეწოლას მოახდენს ყველა წევრ სახელმწიფოზე, რათა მონაწილეობა მიიღონ ომში. სწორედ ამიტომ არის ბრიუსელი ჩვენი მთავარი ოპონენტი და არა – პარტია „ტისა“, რომელსაც 27 წევრი ჰყავს“**, – განაცხადა **ორბანმა.**

**თებერვლის დასაწყისის ცივ დღეებში მორიგი ეროვნული აურზაური მიინავლა და საგანმანათლებლო ამბოხის ალბათობა, სულ მცირე, ორი წლით მაინც გადაიდო. დიდი მადლობა ამისთვის ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტების ხელმძღვანელობას და ხელისუფლებასაც – თუნდაც ყოვლად სამართლიან ნაჩქარევ გადაწყვეტილებას მოთმინება, მოლაპარაკება და ოპონენტებისთვის დასაფიქრებლად დროის მიცემა რომ ამჯობინა.**

**იმედია, მიმიხვდით – საუბარია ხელისუფლების არცთუ მოულოდნელ განცხადებაზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტების შესაძლო გაერთიანებაზე, რამაც სამეცნიერო წრეებსა და, განსაკუთრებით, სტუდენტთა შორის არცთუ ჯანსაღი აჟიოტაჟი გამოიწვია. ვგულისხმობ არა მხოლოდ თსუ-სა და სტუ-ის, არამედ საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.**

**თუ პრობლემას (ორი უნივერსიტეტის გაერთიანებას) წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით და ცივი გონებით მივუდგებით, საკამათო, მით უფრო, საამბოხო, თითქოს არაფერია – ორივე უნივერსიტეტი არის სახელმწიფოს საკუთრება და სახელმწიფო ისე მოიქცევა, როგორც თავად მიაჩნია მართებულად. ოპონენტები კი მშვიდად იმსჯელებდნენ ქვეყნისთვის ამ გადაწყვეტილების სარგებლიანობაზე.**



# საგანმანათლებლო აურზაური 57 უნივერსიტეტის ფონზე!..




**ვიდრე ამ თემაზე აზრის წერილობით გამოთქმას გადავწყვეტდი, საშუალება მქონდა საკმაოდ დაწვრილებით მესაუბრა სტუ-ს ერთ-ერთ ღვაწლმოსილ პროფესორთან. მისი აზრით, განათლების მინისტრისა და პრემიერის განცხადებები ამ ორი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის გაერთიანებაზე იყო ნაჩქარევი. მოსალოდნელი პაზუსების გამოწვლილვით შესწავლის მიზნით, ჯერ უნდა შექმნილიყო კომისია ორივე უნივერსიტეტის, ხელისუფლების წარმომადგენლების, დამოუკიდებელი ექსპერტების (მართვის სპეციალისტების) და ფსიქოლოგების მონაწილეობით. ახლახან ოთხი წლის ვადით არჩეულმა პროფესორმა უნდა იცოდეს, რა ბედი ელის მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას უნივერსიტეტების სასწრაფოდ გაერთიანების შემთხვევაში. არანაკლებ პრობლემურია ორივე ამ უნივერსიტეტში არსებული მონათესავე ფაკულტეტების, კათედრების, სამეცნიერო ლაბორატორიებისა და მათი თანამშრომლების ხვალინდელი დღე...**

**დამეთანხმებით, ძნელია შეედავო ბატონ პროფესორს – პრობლემები მართლაც თავზე საყრელია!**

სამაგიეროდ, ყოვლად გაუგებარი, მეტიც, კურიოზულია სტუდენტთა საკმაოდ აგრესიული საპროტესტო გამოსვლები. გთხოვთ, მენდოთ, რამდენიმე მათგანს პირადად შევხვდი. სამწუხაროდ, მათი აზრის თქვენამდე მოტანა არ შემიძლია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ არსებობს არავითარი მეტნაკლებად საღი აზრი, არავითარი მტკიცებულება გაერთიანების შემთხვევაში სტუდენტთა ინტერესების შებღალვაზე.

**აღარაფერს ვამბობ ზოგიერთი მათგანის ცინიკურ გამოხდომებზე: „რა უნდა გითხრა, შენ ამას მაინც ვერ გაიგებ!..“ „მე ვარ თავისუფალი მოქალაქე და ვიდგები იქ, სადაც ამის სურვილი მექნება!“... „ქოცების მოგზავნილ მონებთან ლაპარაკს არ ვაპირებ!..“ „მიდი, ბიძა, გაიარე!“...**

**აგრესიული „პოლიტიკური ოპოზიციის“ ხელში, ნებით თუ უნებლიეთ, სათამაშოდ ქცეულმა ახალგაზრდობის ამ და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა (მისი პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად!) არ იცის, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება განათლების რეფორმის აუცილებლობაზე, არის იძულებითი ნაბიჯი 2004-2007 წლებში სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩატარებულ „განათლების სისტემის ოპტიმიზაციაზე“. გავბედავ, და შეგახსენებთ:**

**სკოლების (მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში), ბიბლიოთეკების, სტადიონების, სპორტული მოედნების, კულტურის სახლების, კლუბების, მედპუნქტების, საბავშვო ბაღების დახურვა, რამაც სოფლების დაცარიელება გამოიწვია; უნივერსიტეტების ბაკალავრიატებად ჩამოქვეითება; სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დახურვა; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და, შესაბამისად, სასწავლო გეგმა-პროგრამების თავდაყირა დაყენება; პედაგოგიურ პერსონალზე მანდატურული დიქტატურის დამყარება; სასკოლო სახელმძღვანელოების ფარსად გადაქცევა; სტუ-ს შენობის დედაგიულიზე და სხვებზე ჩამორიგება; ილიაუნის, უცხო ენების და ფიზკულტურის ისტიტუტების გაერთიანება...**

**იმის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი „ჩემი ბუნდი“ იყო უვიცების ბრბო, რომელმაც არ იცოდა, რას აკეთებდა და არც ის, რა მოჰყვებოდა მის ნამოქმედარს. ყველაფერი შესანიშნავად იცოდა – მისი ამ „რეფორმის“ უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს „განვითარებად ქვეყნად“ გამოცხადება უცხოეთიდან დახმარებების მიღების, საგარეო ვალების ჩამოწერის მიზნით. კიდევ უფრო პროზაულად – ეს იყო უცხოური ფულით ჯიბეების გასქელებისთვის გადადგმული ნაბიჯი და – საკმაოდ წარმატებულიც.**

ჩვენს ხელისუფლებას გულში რა უდევს, ეს ზუსტად მხოლოდ ნაცლიდერებმა და იმათ გარემოცვამ შეიძლება იცოდნენ. ჩემი მოკრძალებული აზრით კი, ორი ყველაზე ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანების სავარაუდო მიზანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საერთაშორისო სტატუსისა და მნიშვნელობის მინიჭება, კადრების შემცირება, სამეცნიერო ცენტრების გაძლიერება უნდა იყოს.

ვიდრე რეფორმების აუცილებლობასა თუ მის მავნებლობაზე ვიფიქრებდეთ, თუნდაც თვალის ერთი გადავლებით ვნახოთ, რა ვითარებაა დღევანდელი საქართველოს საუნივერსიტეტო სისტემაში.

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი დიდი და ისტორიული მეგობარი გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, ცენტრალური ევროპის ოთხმილიონიან ქალაქში არის ექვსი უნივერსიტეტი.

საქართველოს მოსახლეობაც დაახლოებით ამდენივეა, ანუ, ევროპა-აზიის საზღვარზე მდებარე ამ ფორმალურად ოთხმილიონიან ქვეყანაში... 57 (ორმოცდაჩვიდმეტი!) უნივერსიტეტი ყელყელაობს!

არ გჯერათ? – გეთანხმებით, მართლაც ძნელი დასაჯერებელია. ამიტომ, მოკლე ჩამონათვალსაც შემოგთავაზებთ:

თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ალტე უნივერსიტეტი, კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი,ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი ავიცენა... და ა.შ.

**კიდევ ერთხელ გავიმეორებ – 4-მილიონიან ბერლინში მოქმედებს 6 უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, 3,5-მილიონიან საქართველოში – 57! აღარაფერს ვამბობ კიდევ რამდენიმე ათეულ ინსტიტუტზე!**

მიჭირს ამის აღიარება, მაგრამ ვითარება მართლაც ტრაგიკომიკურია: ოთხმოცამდე უმაღლესი სასწავლებელი; ასიათასობით დიპლომირებული მოქალაქე; 190 ათასამდე სტუდენტი; 12 ათასამდე პროფესორ-მასწავლებელი და... ამავე დროს, დარგის სპეციალისტების უმწვავესი კრიზისი; უცხოელი სპეციალისტების მოწვევის აუცილებლობა; კატასტროფული რაოდენობის გაუნათლებელი, შეზღუდული აზროვნების მქონე ადამიანი ქუჩაში, უმაღლეს სასწავლებლებში, „ინსტიტუციებში“; საეჭვოდ გამრავალრიცხოვანებული მკითხავ-ეზოთერიკოსების ნავარდი ტელევიზიებში...

მოდი, ვიფიქროთ, თუნდაც ამ მონაცემებიდან გამომდინარე, აუცილებელია თუ არა მთლიანად განათლების სისტემის ძირეული რეფორმა.

არანაკლებ საკრამენტულია კითხვები: დღევანდელ სტუ-ს რა შემორჩა ჩემი თაობის დროინდელი „გპის“ იდენტობისა და ისტორიისაგან? ხომ არ გადაუხვია თავის დროზე მის შემქმნელთა მიერ არჩეულ გზას და უმთავრეს მიზანს?

ამ და კიდევ ბევრ სხვა კითხვაზე პასუხის გასაცემად ნამდვილად არ გამოდგება „გაერთიანების“ რადიკალურად მოწინააღმდეგე ახალგაზრდების ყიჟინა. ვერ გამოდგება ამ სტუდენტების მხარდამჭერი ავად ცნობილი სააკაშვილისეული „რეფორმის“ უმთავრესი იდეოლოგისა და განმახორციელებლის გიგი თევზაძის მრისხანე განცხადება: „ქოცკლდეებო, ვერ გათვალეთ ხომ სტუდენტები და მათი ევროპულობა? კი, ეგ გავაკეთეთ იმ 9 წელს. 2003-2007 წლების რეფორმების მერე, საქართველოს სტუდენტი თუ ხარ, რაც არ უნდა დებილი ლექტორი/პროფესორი გასწავლიდეს, ევროპული გარემოა, ევროპული მიზნებია, ცოდნაზე და პირად მიღწევაზე დამოკიდებული. ეგაა იდენტობა, რომელიც ვაკონსტრუირეთ იმ 9 წლის განმავლობაში და რომლის არსებობაც გამოგრჩათ...“

თავისი სიბრძნით გამორჩეული ცნობილი ქალბატონის არც ეს სატელევიზიო შეგონება გამოდგება: „საქართველოს ისტორიაში არსებობს ორი ინსტიტუციური ორგანიზაცია – მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომელიც საქართველოში შემოვიდა მეოთხე საუკუნეში და უნივერსიტეტი, რომელიც დაარსდა 1918 წელს“.

სანამ ამ სიბრძნეს გადმოაფრქვევდა, ქალბატონს უნდა გაეხსენებინა, რომ ლათინური ტერმინი ინსტიტუცია (ისტიტუტიო) არის სისტემა, რომელიც რაღაც სფეროს მართავს. ანუ საქართველოში არსებობს არა ორი, არამედ ათასობით ინსტიტუციური (მართული) ორგანიზაცია. უფრო მარტივად, არსებობს იმდენივე ინსტიტუცია, რამდენიც – ორგანიზაცია.

ქალბატონს არც იმის ცოდნა აწყენდა, რომ ზოგადად, ქრისტიანობა საქართველოში შემოვიდა არა მეოთხე საუკუნეში, არამედ სამასი წლით ადრე – **მეოთხე საუკუნეში იგი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.** რაც მთავარია, ქრისტიანობის მართლმადიდებელი მიმდინარეობა საბოლოოდ მერვე საუკუნეში ჩამოყალიბდა და საქართველოში პირველ, ან თუნდაც, მეოთხე საუკუნეში ვერ შემოვიდოდა.

**ამას იმ გაბრიყვებული ახალგაზრდების საყურადღებოდ ვამბობ, ხელისუფლების ნებისმიერ გადაწყვეტილებაში საპროტესტო მარცვლის აღმოჩენას რომ ცდილობენ, ნებისმიერი მიშა-გიგის მოწოდებას დაუფიქრებლად და ყიჟინით რომ ეხმიანებიან.**

**რაც შეეხება უნივერსიტეტების გაერთიანებას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კომპრომისი უეჭველად მოიძებნება.**



**თეიმურაზ ქორიძე**

30 იანვარს, შეგახსენებთ, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა (DOJ) სამი მილიონი ფაილი გამოაქვეყნა, მათ შორის 2000 ვიდეო და 180 000 სურათი, რომლებიც ჯეფრი ეპშტეინის საქმის გამოძიებას ეხებოდა.

მე შევძელი დაახლოებით 20-წუთიანი ინტერვიუს მოსმენა, დიახ, შევძელი... ეს იყო საუბარი ერაყის ომის მონაწილე, ამჟამად პენსიონერ, აშშ-ის სამხედრო ვეტერანთან, რომელიც ჰყვება მშვილებელი მშობლების მიერ ბავშვების სექსუალურ მონობაზე. ეს არის ეპშტეინის ფაილებში არსებული ჩვენების ნაწილი. ის მხოლოდ აუდიოა, მაგრამ ამ ჩვენების მოსმენა იმდენად რთული იყო, რომ რამდენჯერმე შევწყვიტე... სუსტი ნერვების მქონე ადამიანებს არ ვურჩევ ეპშტეინის კუნძულის შესახებ ვიდეო და აუდიოფაილების გახსნასაც კი....




# გარყვნილებითა შენითა მოიპოვე სიკვდილი შენი!..

## ჯეფრი ეპშტეინის საქმის დეტალები

**როგორც ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი და ფრანგულენოვანი ინტერნეტსაიტები იტყობინებიან, აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა გამოაქვეყნა სამ მილიონ გვერდზე მეტი დოკუმენტი, 2000-ზე მეტი ვიდეო და 180 000 ფოტოსურათი, სადაც მოცემულია არასრულწლოვანი გოგონების პროსტიტუციისა და სექსუალური ექსპლუატაციის მტკიცებულებები, რომელთაგან ზოგიერთს თავად ჯეფრი ეპშტეინი აუპატიურებს, ზოგიერთს მდიდარ კლიენტებზე ყიდის, როგორც კარგ ძაღლს ანდა უსულო ნივთს.**

გამოქვეყნდა ფოტოები გალიებში, ჯაჭვებით დაბმული არასრულწლოვანი გოგონები და ბიჭები, 5-დან 7 წლამდე მოზარდების გაუპატიურების სცენები, მათი მკვლელობის, ანდა ორგანოების ცოცხლად ამოღების დამადასტურებელი მტკიცებულებები და ა.შ.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ რასაც ვწერ, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმის, რაც ვრცელდება.

სავარაუდოდ, ფაილების დიდი ნაწილი არასოდეს გამოქვეყნდება.

„ღრმად პატივცემული" ექსპერტები, პრინცები, შეიხები, პრეზიდენტები და მილიარდერები, საზოგადოების კერპები – მსახიობები, ცნობილი ადამიანები, რომლებიც მთელ მსოფლიოს აღაფრთოვანებდნენ, ჩვეულებრივი სერიული დამნაშავეები და კანიბალები აღმოჩნდნენ!..

როცა ეპშტეინის ფაილები გამოქვეყნდა, მსოფლიო საზოგადოება შოკში ჩავარდა. პროგრესისა და მეცნიერების ეპოქაში, 21 -ე საუკუნეში ყველა ძალაუფლება, მათ შორის მსოფლიოს უდიდესი ძალების მმართველები, დემონებს სცემენ თაყვანს და მსხვერპლს სწირავენ? – ისმოდა ყველგან. მაგრამ პასუხი ამ კითხვაზე მსოფლიომ ჯერ კიდევ ვერ მიიღო. შემაძრწუნებელი ფაქტები ჯეფრი ეპშტეინის ფაილების სახელით გასაჯაროვდა. მაგრამ ვინ იყო თავად ჯეფრი ეპშტეინი?

### სკოლის მასწავლებლობიდან ფინანსისტობამდე

**ჯეფრი ეპშტეინი 1953 წელს ქალაქ ბრუკლინში, ღარიბი ებრაელების ოჯახში დაიბადა. ბავშვობაში ის ნიჭიერ პიანისტად და მათემატიკოსად ითვლებოდა; საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტშიც განაგრძო სწავლა, თუმცა დიპლომი არ მიუღია, 21 წლის ასაკში სწავლა მიატოვა და მანჰეტენის პრესტიჟულ კერძო სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.**

მისი მოსწავლეები მოგვიანებით იხსენებდნენ, რომ ის ძალიან ქარიზმატული და მიმზიდველი იყო.

მშობელთა და მასწავლებელთა ერთ-ერთ შეხვედრაზე „მომხიბვლელმა მათემატიკოსმა" ფინანსისტ ალან გრინბერგის, საინვესტიციო ბანკ „Bear Stearns"-ის აღმასრულებელი დირექტორის ყურადღება მიიპყრო. ეს კავშირი სასარგებლო აღმოჩნდა ახალგაზრდა ჯეფრისთვის, რადგან ის სკოლიდან წელიწადნახევარში გაათავისუფლეს და ახალი სამსახური სჭირდებოდა. გრინბერგმა იგი „Bear Stearns"-ში აიყვანა სამუშაოდ.

### ამერიკის ყველაზე დიდი ბაკალავრის ტიტული




**„Bear Stearns"-ში მუშაობის მეოთხე წელს ჟურნალმა „Cosmopolitan"-მა 27 წლის ჯეფრი ეპშტეინს ამერიკის ყველაზე დიდი ბაკალავრის ტიტული მიანიჭა. ის გახლდათ Bear Stearns-ის ახალი პარტნიორი – კომპანიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა, რომელიც წელიწადში დაახლოებით 200 000 დოლარს გამოიმუშავებდა.**

თუმცა აღმოჩნდა, რომ ოფიციალურ შემოსავალთან ერთად, ის მრავალ ჩრდილოვან სქემაშიც იყო ჩართული. 1981 წლის დასაწყისში Bear Stearns-მა ჩაატარა შიდა გამოძიება, რის შედეგადაც ეპშტეინი 2 500 დოლარით დააჯარიმეს და ორთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. მან ეს შეურაცხყოფად მიიჩნია და თანამდებობა დატოვა. მაშინ დანამდვილებით არავინ იცოდა, რას აკეთებდა სინამდვილეში ჯეფრი, როცა საკუთარ თავს „განძის მაძიებელს" უწოდებდა და ამბობდა, ჩემს ულტრამდიდარ კლიენტებს მათგან მოპარულ და ოფშორულ ანგარიშებზე დამალული ფულის პოვნაში ვეხმარები, რაშიც დიდძალ პროცენტებს ვიღებო, მაგრამ 1980-იანი წლების შუა პერიოდისთვის ყოფილი სკოლის მასწავლებელი უკვე მილიონერი იყო. თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. 1990-იანი წლების დასაწყისში ეპშტეინი შეხვდა ადამიანს, რომელმაც მას ნამდვილი სიმდიდრის მოპოვებაში დაეხმარა. ეს იყო ლესლი ვექსნერი – ამერიკის ერთ-ერთ უმდიდრესი ადამიანი.

### ბნელი „დედოფალი"

**ჯეფრი ეპშტეინის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან ქალთან – გისლეინ მაქსველთან და ლესლი ვექსნერთან შეხვედრის პერიოდი თითქმის ერთმანეთს ემთხვევა.**

**გისლეინი** ბრიტანელი საზოგადო მოღვაწისა და მედიამაგნატის **რობერტ მაქსველის** ქალიშვილი იყო. ვექსნერი ეპშტეინს დიდ თანხებზე წვდომაში ეხმარებოდა, მაქსველი – მაღალ საზოგადოებაში შეღწევას უჩალიჩებდა. ამ პერიოდში დაიწყო ჯეფრი ეპშტეინმა ახალგაზრდა გოგონების დაქირავება სკოლებიდან, სავაჭრო ცენტრებიდან, სამოდელო სააგენტოებიდან და საცეკვაო სტუდიებიდან. სექსუალური ძალადობის ბრალდებით მისი საქმიანობის შესახებ პირველი გამოძიება 2005 წელს დაიწყო. ჯეფრის 45-წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა. თუმცა მან საბოლოოდ საპროცესო შეთანხმებას მიაღწია და მხოლოდ 13 თვე მოიხადა.

მას შემდეგ ეპშტეინს კიდევ რამდენიმეჯერ ჰქონდა შეხება სამართალდამცავ სტრუქტურებთან, მაგრამ 2019 წლის ივლისში მისი დაჭერა საბედისწერო აღმოჩნდა, ამჯერად თავს ვეღარ დაიძვრენდა, რადგან თვით **დონალდ ტრამპი** ითხოვდა ეპშტეინის შესახებ არსებულ ფაილებზე რეაგირებას.

დაიწყო მისი საქმის სრული გამოძიება. ჯეფრი დააპატიმრეს.

**2019 წლის 10 აგვისტოს დილით 66 წლის ჯეფრი ეპშტეინი ციხის საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს. ოფიციალური ცნობებით მან თავი ჩამოიხრჩო. მართლმსაჯულების წინაშე მხოლოდ გისლენ მაქსველი წარდგა. მას ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.**

* * *

**შარშან მსოფლიო ცნობილი რეპერის შონ კომბსის, იგივე ფი დიდის ორგიების გამოქვეყნებამ შეაძრწუნა. სხვა უმძიმესი კადრების პარალელურად, ახალგაზრდა გოგონების და ბიჭების სექსექსპლუატაციასთან ერთად 9 წლის ბიჭუნას ვიდეოკადრებიც გამოქვეყნდა, რომელიც, როგორც გამოძიებამ დაადგინა, ცხენის ტრანკვილიზატორით იყო გათიშული, გაუპატიურებული და გარდაცვლილი.**

მომღერალი სასჯელს იხდის აშშ-ში, ჯერზის შტატის ფედერალურ ციხეში. ის, ცხადია, მძიმე დანაშაულებშია ბრალდებული, მაგრამ ჯეფრი ეპშტეინის ფაილები იმდენად მძიმე ინფორმაციას შეიცავს და ისეთი ფართოა ეს დანაშაულებრივი ქსელი, რომ, ფი დიდის დანაშაულები მასთან ბავშვურ თამაშად მოგეჩვენებათ.

უცხოური მედიასაშუალებების ცნობით, **Little Saint James** – წმინდა ჯეიმსის კუნძულზე, რომელსაც ჯეფრი ეპშტეინის კუნძულსაც უწოდებდნენ, ჯეფრი პატიჟებდა მდიდარ და გავლენიან პირებს სექსუალურ ორგიებზე დასასწრებად, რომელიც მხოლოდ გარყვნილებით არ შემოიფარგლებოდა. ეს იყო 5 წლის ასაკიდან 25 წლამდე ქალთა და გოგონათა საშინელი წამების ადგილი, სადაც სისხლში „იხრჩობოდნენ" უბედური მსხვერპლები, რომლებიც სამუდამო განსასვენებელს ხან ღია ზღვაში, ხანაც – ეპშტეინის კუნძულზე არსებულ ფეშენებელური შენობის შადრევნებიან ეზოში სპეციალურად ამოთხრილ ორმოში ჰპოვებდნენ და ამ საზარელ დანაშაულებში, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა, მონაწილეობდნენ მსოფლიოში გამოჩენილი პირები: პოლიტიკოსები, სახელმწიფოების მეთაურები, მსახიობები, რეჟისორები, ბიზნესმენები და უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირებიც კი.

ყოფილი სამეფო ოჯახის წევრი **ენდრიუ მაუნტბატენ-უინძორი** ფაილების ბოლო პაკეტში სამჯერ იყო გამოსახული, იმის მიუხედავად, რომ მუდმივად უარყოფდა ეპშტეინთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ წაყენებულ ყველა ბრალდებას.

ფაილების მიხედვით, ჯეფრი ეპშტეინსა და ვინმე „A"-ს სახელით ცნობილ პირს შორის ელექტრონული მიმოწერიდან ცხადი ხდება, რომ მას შემდეგ, რაც ეპშტეინის კუნძულზე იმყოფებოდა, **ბილ გეითსს** „სქესობრივი გზით გადამდები დაავადება" დამართნია, რასაც Microsoft-ის დამფუძნებელმა შემდეგ „აბსოლუტურად აბსურდული" და „სრულიად ცრუ" უწოდა. **ბილ კლინტონმა** არაერთხელ განაცხადა, რომ ეპშტეინის დანაშაულების შესახებ არაფერი იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე იფრინა მისი თვითმფრინავით.

**„მისტერ კლინტონმა არაფერი იცის იმ საშინელი დანაშაულების შესახებ, რომლებშიც ჯეფრი ეპშტეინმა თავი დამნაშავედ ცნო, არც იმ დანაშაულების შესახებ იცის რაიმე, რომლებშიც მას ბრალი წაუყენეს... ის არასდროს ყოფილა ეპშტეინის კუნძულზე, რანჩოზე ან საცხოვრებელ სახლში",** – განაცხადა მისმა წარმომადგენელმა მედიასთან საუბრისას.

ჰოლივუდის ცნობილმა ვარსკვლავმა, მსახიობმა **კევინ სპეისიმ** საჯაროდ მოუწოდა გამოძიებას ეპშტეინის ყველა ფაილის გასაჯაროებისკენ და დასძინა, რომ მას „არაფრის არ ეშინია". იმის მიუხედავად, რომ ცნობილი მსახიობი თვითმფრინავით ეპშტეინთან ერთად 2002 წელს აფრიკაში ჰუმანიტარული მოგზაურობის დროს იმყოფებოდა.

სპეისის მსგავსად, ცნობილმა მსახიობმა **კრის ტაკერმაც** განაცხადა, რომ ეპშტეინს მხოლოდ იმიტომ შეხვდა, რომ მისი თვითმფრინავი აფრიკაში ჰუმანიტარული მოგზაურობისთვის გამოიყენეს. მანაც უარყო ეპშტეინის კუნძულზე ოდესმე ვიზიტი.

**პრინცი ენდრიუ** დიდი ხანია უარყოფს ჯეფრი ეპშტეინთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანაშაულს. 2019 წელს BBC Newsnight-თან ინტერვიუში მან კატეგორიულად უარყო **ვირჯინია ჯუფრეს** მთავარი ბრალდება, რომ მას პრინცთან სექსი ჰქონდა, როდესაც ვირჯინია 17 წლის იყო.

იხ. 9 გვ.

**ხვალ, 10 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას 85 წელი უსრულდება. იგი ათეული წლების მანძილზე ედგა სათავეში ქვეყანაში მეცნიერების განვითარების საქმეს და ღირსებით აგრძელებდა საქართველოში განათლებისა და მეცნიერების უძველესი დროიდან მომდინარე ტრადიციებს.**

იმთავითვე განისაზღვრა აკადემიაში შემავალი სამეცნიერო დაწესებულებები, დამტკიცდა წესდება, სტრუქტურა და აკადემიის წევრთა პირველი შემადგენლობა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის მყარი ნიადაგი მოამზადა ქართული განათლებისა და მეცნიერების განვითარების მთელი წინამავალი ეპოქების მემკვიდრეობამ, რომლის მეტყველი ნიშან-სვეტებია **ფაზისის რიტორიკული სკოლა (IV ს.), თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, გელათისა და იყალთოს აკადემიები (XII ს.), დიდი სამონასტრო ცენტრები ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ (პალესტინა, სირია, ათონი, კონსტანტინეპოლი), XIX საუკუნის ევროპისა და რუსეთის (სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი) აღმოსავლეთმცოდნეობისა და ქართველოლოგიის სკოლები (მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, ნ. მარი) და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1918 წ.). სწორედ აქ დაედო საფუძველი მსოფლიოში აღიარებული – მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, ქართველოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული მეცნიერული სკოლების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.**



**როინ მეტრეველი**

**აკადემიკოსი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი**

# დღეს, როცა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით

# უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალგანვითარებულ ქართულ მეცნიერებას,

# ეროვნული აკადემია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ახალ გამოწვევებს და აცნობიერებს მას...

**გამოჩენილმა, ღირსეულმა თექვსმეტმა მეცნიერმა დაუდეს საფუძველი აკადემიას. ესენი იყვნენ: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, კირიაკ ზავრიევი, ფილიპე ზაიცევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კორნელი კეკელიძე, ნიკოლოზ კეცხოველი, ტარასი კვარაცხელია, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე ჯანელიძე. აკადემიის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ნ. მუსხელიშვილი, ვიცე-პრეზიდენტად ს. ჯანაშია.**

აკადემიის წიაღში ახალ სიმაღლეებს მიაღწია ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ, რომლის მიღწევებმა მექანიკის დარგში, განსაკუთრებით, დრეკადობის თეორიაში (აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი) საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მაღალი შეფასება ხვდა წილად ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა და დრეკად გარსთა მათემატიკურ თეორიაში, აგრეთვე, ელიფსური განტოლებებისა და სასაზღვრო ამოცანების შესწავლაში შეტანილ წვლილს (აკად. ი ვეკუა), მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა კვლევები მწკრივთა თეორიაში (აკად. ვლ. ჭელიძე), ტოპოლოგიაში (აკად. გ. ჭოღოშვილი) და სხვ.

თვალსაჩინოა აკადემიის წვლილი საქართველოში ფიზიკის დარგის განვითარებაში. აღსანიშნავია დისპერგირების ახალი მეთოდის დამუშავება (აკად. ე. ანდრონიკაშვილი), კვლევა-ძიების შედეგები თეორიულ ფიზიკაში, კერძოდ, ატომის გულის პრობლემების ირგვლივ (აკად. ვ. მამასახლისოვი), ფერადი კვარკების სფეროში (აკად. ა. თავხელიძე), კვანტურ მექანიკაში (აკად. მ. მირიანაშვილი), ექსპერიმენტული ფიზიკის დარგში შემუშავდა კრისტალების მექანიკური თვისებების პრობლემები და სხვ.

1932 წელს აბასთუმანში აკად. ე. ხარაძის თაოსნობით დაარსდა ასტროფიზიკური ობსერვატორია.

მსოფლიოში აღიარებულია ქართული ფიზიოლოგიის მეცნიერული სკოლა, რომლის ფუძემდებელია აკად. ივანე ბერიტაშვილი. ესა თუ ის პრობლემა შეისწავლებოდა როგორც ფიზიოლოგიური, ისე სტრუქტურული და ბიოქიმიური ანალიზითაც (აკადემიკოსები ა. ზურაბაშვილი. პ. ქომეთიანი). მეცნიერებათა აკადემიაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები კვლევა-ძიებას აწაროებდნენ სხვადასხვა მიმართულებით (აკადემიკოსები ვ. ოკუჯავა, ი. ტატიშვილი, თ. იოსელიანი, თ. ონიანი, ნ. ჯავახიშვილი, ვ. ბახუტაშვილი, თ. დეკანოსიძე, კ. ნადარეიშვილი, ნ. მითაგვარია, შ. ჯაფარიძე, ზ. ქევანიშვილი, ნ. ყიფშიძე, რ. შაქარიშვილი, რ. ხეცურიანი, დ. მიქელაძე, ქ. ნემსაძე, თ. ნანეიშვილი და სხვ.).

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქიმიის მეცნიერებამ. შეისწავლებოდა აქტუალური პრობლემები (პ. ცისკარიშვილი, აკად. გ. ციციშვილი, აკად. დ. ერისთავი, ბ. კანდელაკი, აკად. რ. აგლაძე). მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო ბიოქიმიურმა კვლევებმა (აკადემიკოსები პ. ქომეთიანი, ს. დურმიშიძე, ვ. ასათიანი, მ. ზოკუჩავა, კ. ჭმუხაძე). განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. ეთერ ქემერტელიძის წარმატებული კვლევითი მუშაობა ფარმაკოლოგიაში. ტექნოლოგიების მიმართულებით ღირებულ შედეგებს მიაღწია მეტალურგიის ინსტიტუტმა (აკადემიკოსები ფ. თავაძე, ნ. ლანდია, გ. თავაძე და სხვ.).

გეოლოგიურმა სკოლამ ალექსანდრე ჯანელიძის მეთაურობით მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა საქართველოში გავრცელებული გეოლოგიური ფორმაციების შესწავლაში (აკადემიკოსები პ. გამყრელიძე, თ. დავითაია, ვ. გამყრელიძე, ნ. სხირტლაძე და სხვ.). მნიშვნელოვანი წარმატებით მიმდინარეობდა გეოფიზიკური კვლევები (აკადემიკოსები ა. დიდებულიძე, ა. ბენაშვილი, მ. ნოდია, ბ. ბალავაძე, თ. ჭელიძე). განხორციელდა საყურადღებო კვლევები საქართველოსა და კავკასიის გეოგრაფიაში (აკად. რ. გაჩეჩილაძე).

მნიშვნელოვნად განვითარდა ბიოლოგიის დარგი. მცენარეული სამყაროს შესწავლა, სტრუქტურული ბოტანიკა, მცენარეთა ფიზიოლოგია, ცხოველთა სამყაროს შესწავლა, შიდაწყალსატევების ჰიდროლოგია და იქთიოლოგია, ცხოველებისა და მცენარეული ორგანიზმების ისტორიული განვითარების გზები, გენომის ორგანიზაცია და ფუნქცია, მცენარეული ცილები და სხვ. (ფ. ზაიცევი, გ. მუხაძე, ა. ნათიშვილი, ი. ქუთათელაძე). გასული საუკუნის 80-იან წლებში კიდევ უფრო ინტენსიური გახდა მრავალმხრივი ბიოლოგიური კვლევები (მ. ზოკუჩავა, ლ. გაბუნია, მ. ზაალიშვილი, გ. კვესიტაძე, გ. სანაძე, თ. ბერიძე, თ. სადუნიშვილი).

აქტიურად მუშაობდნენ ტექნიკური პროფილის სამეცნიერო დაწესებულებები. განვითარება პოვა კოსმოსურმა მექანიკამ (აკადემიკოსები რ. აგლაძე, გ. წულუკიძე, გ. გედევანიშვილი). წარმატებული კვლევები მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებებით: კოსმოსური მექანიკა (აკად. ე. მეძმარიაშვილი), ინოვაციური ტექნოლოგიები და კომპიუტერული ინჟინერია (აკად. ა. ფრანგიშვილი), მანქანათა მექანიკა (აკად. თ. ნატრიაშვილი), მართველური მიმართულებები (აკად. რ. გორდეზიანი), ტრადიციულად მუშავდება თეორიული ენათმეცნიერების (აკად. თ. გამყრელიძე), ქართული ენის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის საკითხები (აკად. გ. კვარაცხელია), მიმდინარეობს მუშაობა ქართული ენის თესაურუსის ლემატიზაციაზე (აკად. ა. არაბული). შეისწავლება დავით აღმაშენებლის ტექსტოლოგიის საკითხები (აკად. მ. შანიძე), „ვეფხისტყაოსნის“ და XVII საუკუნის ინგლისური დრამატურგიის მიმართულება (აკად. ე. ხინთიბიძე).

ინტენსიურად შეისწავლებოდა ძველი ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ბუნების, ქართველთა ეთნოგენეზის, ქვეყნის შიდა პოლიტიკური და საგარეო ურთიერთობის ისტორიის კარდინალური საკითხები, რომლებიც გაშუქდა არაერთ განმაზოგადებელ ნაშრომში (აკადემიკოსები გ, მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, ო. ლორთქიფანიძე, პროფ. თ. მიქელაძე და სხვ.). მრავალწლიანი და გეგმაზომიერი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის კარდინალური პრობლემები (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ზ. ანჩაბაძე, მ. ლორთქიფანიძე და ა.შ.). ქართული ცივილიზაციის ამ ყველაზე ხანგრძლივი ეპოქის შესწავლის გარკვეული ეტაპის შეჯამებას წარმოადგენდა გასული საუკუნის 70-იან წლებში „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის გამოცემა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მიმართულებით მუშაობას წარმართავდა რამდენიმე კვლევითი დაწესებულება. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია არქაული ეპოქის ყველა ეტაპი, დაწყებული პალეოლითის უძველესი საფეხურიდან (აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ნიორაძე), უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ.წ. IV ათასწეული) აღმოჩენას. თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურის აღ-

თვა ტექნიკურ სისტემებში (აკად. რ. ხუროძე), საგზაო-სატრანსპორტო სისტემა (აკად. თ. შილაკაძე) და სხვ.

მეცნიერებათა აკადემიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა და ექცევა სოფლის მეურნეობის პრობლემებს (აკადემიკოსები ნ. კეცხოველი, ვ. გულისაშვილი, ტ. კვარაცხელია, ს. ჩოლოყაშვილი, დ. გედევანიშვილი, მ. დარასელია, ლ. დეკაპრელევიჩი, ი. ლომოური, ც. მირცხულავა, ო. ნათიშვილი, თ. ურუშაძე, გ. შხვაცაბაია, გ. ალექსიძე, ა. კორახაშვილი და სხვ.).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებია.

საყურადღებოა არქეოლოგიური კვლევებისადმი მიძღვნილი ნაშრომები (აკად. ო. ჯაფარიძე, აკად. ა. აფაქიძე, აკად ო. ლორთქიფანიძე და სხვ. აკად. წევრ-კორესპონდენტი გ. ლორთქიფანიძე). შედეგიანი იყო ფიჭვნარის (პროფ. ა. კახიძე) გათხრები. მიმდინარეობს შუა საუკუნეების ისტორიისა და კულტურის (დ. მუსხელიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი) კარდინალური პრობლემების შესწავლა; შუა საუკუნების თურქული ლიტერატურის პრობლემების კვლევა (აკად. ე. ჯაველიძე), ითარგმნა და გამოიცა თურქული დოკუმენტური წყაროები (პროფ. ნ. შენგელია), კავკასიის კულტურულ-ისტორიულ პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირში შეისწავლება წინაბერძნულ-ქარ-

მოჩენას (აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზ. კუფტინი, აკად. ო. ჯაფარიძე). თანამედროვე ქართული არქეოლოგიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს დმანისის ნაქალაქარში ჰომინიდების თავის ქალების აღმოჩენა (აკადემიკოსი ა. ვეკუა, აკადემიკოსი დ. ლორთქიფანიძე). მნიშვნელოვანია ვანის ნაქალაქარის გათხრები, სადაც მეტად საინტერესო შედეგები იქნა მიღებული (აკად. ო. ლორთქიფანიძე).

აკადემიის წიაღში გაიზარდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მიღწევები ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის შესწავლაში (აკად. გ. ჩიტაია, პროფ. ჯ. რუხაძე და სხვ.), სულიერი ცხოვრების პრობლემების კვლევაში (პროფესორები ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ვალ. ითონიშვილი, თ. ოჩიაური, თ. ცაგარეიშვილი, ნ. მაისურაძე, აკად. ლ. მელიქიშვილი და სხვ.). ქართველი ეთნოგრაფების კვლევის არეალში მყარად მოექცა ჩრდილო კავკასიის ხალხებიც (აკად. წევრ-კორესპონდენტი ა. რობაქიძე). განხორციელდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ურარტული წარწერების ტექსტების გაშიფვრა და გამოცემა (აკად. გ. წერეთელი).

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ გამოსცა ქართული წარწერების სრული კორპუსის მრავალტომეულის I-III ტომები (ზ. ალექსიძე, ნ. შოშიაშვილი, ვ. სილოგავა, გ. აბრამიშვილი). პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა აგრეთვე ატენის სიონის სომხური წარწერები (ზ. ალექსიძე). უფრო ადრე კორპუსის სახით გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული ბერძნული წარწერები (თ. ყაუხჩიშვილი).

ენათმეცნიერთა სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებები იყო: ქართველური და კავკასიური ენები, ლექსიკოლოგია, ტერმინოლოგია, თეორიული ენათმეცნიერება. ქართული ენისა და მისი დიალექტების (აკად. შ. ძიძიგური), ასევე მეგრულ-ლაზურის, სვანურის ფუნდამენტური კვლევის შედეგები აისახა მრავალრიცხოვან მონოგრაფიებსა და თემატურ კრებულებში. 1950-1965 წლებში მომზადდა და გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული, 1968 წელს მომზადდა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (1970 წ.). ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საყოველთაოდ აღიარებული სკოლა (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე და სხვ.).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შედარებით შესწავლასა და პოემის ტექსტის დადგენას (აკადემიკოსები ა. ბარამიძე, გ. ჯიბლაძე, აკად. წევრ-კორესპონდენტი სარგ. ცაიშვილი). თვალსაჩინოა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მკვლევართა (მ. ჩიქოვანი, ქ. სიხარულიძე, აპ. ცანავა და სხვ.) ღვაწლი, რომლებმაც მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩაატარეს აღნიშნულ დარგში, მათივე ძალისხმევით გამოიცა ქართული ფოლკლორული სიტყვიერების მრავალტომეული.

1958 წელს შეიქმნა ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომლის (აკად. წ. კორ. ი აბულაძე) საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიოგრაფიის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლების, ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერების აღწერილობები. შეისწავლებოდა სხვადასხვა დროის (წინაქრისტიანული, შუასაუკუნოვანი, XIX-XX საუკუნეების) ქართული ხუროთმოძღვრების, სახვითი ხელოვნების კვლევა (აკადემიკოსები გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე, ნ. ჯანბერიძე, ზ. სხირტლაძე და სხვ.).

აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებას მნიშვნელოვანი ამაგი დასდო საყოველთაოდ აღიარებულმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა. შეისწავლებოდა ზოგადლინგვისტური პრობლემები (თ. გამყრელიძე), აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა (ირანული, არაბული, თურქული) და შუა საუკუნეების ისტორიის, აგრეთვე, ბიზანტინისტიკის პრობლემები (ვ. ფუთურიძე, მ. ანდრონიკაშვილი, ს. ჯიქია, ვ. გაბაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ.), ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის პროლემები (გ. მელიქიშვილი, გ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე და სხვ.). საყოველთაოდ ცნობილია ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქართული სკოლის მიღწევები ურარტოლოგიის, ხეთოლოგიის, შუმეროლოგიის, ეგვიპტოლოგიის და ა.შ. მიმართულებებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სკოლის მეთაური აკად. გ. მელიქიშვილი ლენინური პრემიით დაჯილდოვდა (1960 წ.) გამოკვლევისთვის „ნაირი-ურარტუ“.

ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა აკად. თ. გამყრელიძის კვლევის შედეგმა ინდოევროპეისტიკაში, მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევამ „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (აკად. ვ. ივანოვთან თანაავტორობით), რომელსაც მეცნიერების დარგში ლენინური პრემია მიენიჭა (1988 წ.).

ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა XVIII-XIX საუკუნეების მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება საქართველოსა და კავკასიაში, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის ისტორია და ა.შ. (აკადემიკოსები პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე, ირ. მიქელაძე, ა. გუნია, აკად. წევრ-კორესპონდენტი ვ. მელქაძე).

შედარებით გვიან შეიქმნა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი (აკად. წევრ-კორესპონდენტი ლ. ჩიქავა).

განწყობის თეორიის, ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და პედაგოგიკური ფსიქოლოგიის, არაცნობიერი განწყობის ფენომენების კვლევას მნიშვნელოვანი ამაგი დასდეს აკადემიკოსებმა დ. უზნაძემ, რ. ნათაძემ, ა. ფრანგიშვილმა, შ. ნადირაშვილმა და მათმა მოწაფეებმა. სხვადასხვა მიმართულებით კვლევა წარმატებით გრძელდება დღესაც (აკად. ი. იმედაძე, წევრ-კორესპონდენტი დ. ჩარკვიანი).

მნიშვნელოვანი იყო ქართული ფილოსოფიის, არეოპაგისტიკის, ქართული (აღმოსავლური) რენესანსის პრობლემების კვლევა. მოგვიანებით ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ფილოსოფიური ანთროპოლოგიის – ადამიანის, კულტურისა და ღირებულებების კვლევა იქცა (აკადემიკოსები შ. ნუცუბიძე, შ. ხიდაშელი, კ. ბაქრაძე, გ. თევზაძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ნ. ჭავჭავაძე, ირ. ბრაჭული, პროფესორები თ. ბუაჩიძე, ვ. ქვაჩახია და სხვ.).

შეისწავლებოდა როგორც საქართველოს, ისე ძველი აღმოსავლეთის, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო, სამოქალაქო, სისხლის და საპროცესო სამართლის, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები (თ. წერეთელი, გ. ინწკირველი). აღსანიშნავია შუა საუკუნეების სამართლის წიგნების (გიორგი ბრწყინვალის, ბექა-აღბუღას, ვახტანგ VI-ის სამართლის) პუბლიკაციები, აგრეთვე ქართული სამართლის ძეგლების (ისტორიული დოკუმენტების) რვატომეულის გამოცემა (აკად. ი. დოლიძე). მნიშვნელოვანი წვლილი იქნა შეტანილი ეკონომიკის პრობლემების შესწავლაში (პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია და სხვ.). უკანასკნელი პერიოდის რადიკალურმა ცვლილებებმა ახალი მიმართულება მისცა ეკონომიკურ მეცნიერებას და ინტენსიურად დაიწყო ახალი მიმართულებების კვლევის პროცესი (ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, მ. ჯიბუტი და სხვ.).

დროთა განმავლობაში კვლევითი ინსტიტუტები შეიქმნა: აფხაზეთში (სოხუმში), ბათუმში ცხინვალსა და ქუთაისში არქეოლოგიური შესწავლის სამეცნიერო ცენტრი, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველოლოგიური დარგების განვითარებაში.

**XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი აკადემიის რეგულაციის შესახებ. მას ეწოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. კანონით აკადემიას მინიჭებული აქვს საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩევლის სტატუსი. მისი ძირითადი მიზანია მსოფლიო მეცნიერული მიღწევების შესაბამისად ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობა, მოწინავე წარმატების წარმოჩენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საერთაშორისო ასპარეზზე.**

დღეისათვის აკადემიაში ფუნქციონირებს ცხრა სამეცნიერო განყოფილება, რომლებიც აერთიანებს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ძირითად დარგებს: მათემატიკისა და ფიზიკის, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა, საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების, ბიოლოგიურ მეცნიერებათა, ფიზიოლოგიისა და მედიცინის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებებს.

აკადემიის შემადგენლობაშია ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი რედაქცია (პროფ. ზ. აბაშიძე), აკად. გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი (აკად. ა. არაბული), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი (აკად. ი. პაპუნიძე).

დარგობრივი კომისიები და ცენტრები, წარმოაჩენენ სხვადასხვა პრობლემებს.

**აკადემია არაერთი საერთაშორისო გაერთიანების – სამეცნიერო ალიანსის საერთაშორისო საბჭოს, მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის, სრულიად ევროპის ეროვნული აკადემიების და სხვ. კოლექტიური წევრია.**

აკადემიის წევრები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით, არიან მრავალი საერთაშორისო ქართულ-უცხოური და უცხოური პერიოდული გამოცემების რედაქტორები თუ სარედაქციო კოლეგიის წევრები, არჩეულნი არიან უცხოეთის მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრებად, მინიჭებული აქვთ საპატიო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და სხვ.

აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით ყოველწლიურად იბეჭდება გამოკვლევები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალები: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე“ (წელიწადში ოთხი ნომერი, ინგლისურ ენაზე), „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“; „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ (წელიწადში სამი ტომი); „ბიომედიცინა“ (წელიწადში ორი ნომერი); „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“ (წელიწადში ორი ნომერი); „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია“ (წელიწადში ორი ნომერი); „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ (წელიწადში სამი ნომერი).

**ამჟამად, როცა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალგანვითარებული მეცნიერების არსებობას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ახალ გამოწვევებს და აცნობიერებს მას. ქართული მეცნიერება – ფუნდამენტური თუ გამოყენებითი, ყოველთვის მაღალ დონეზე იყო. ამჯერადაც, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ოთხმოცდამეხუთე წლისთავზე, მას ხელეწიფება, რომ ახალი დროის მიერ დასმული ამოცანები წარმატებით შეასრულოს – მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქართული მეცნიერების მაღალ დონეზე წინსვლა-განვითარებაში.**

85 წელი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან მნიშვნელოვანი თარიღია. ამ პერიოდში რამდენადმე რთული გზა გაიარა მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ. ამასთან იგი ყოველთვის იყო ქართული მეცნიერების სამსახურში, მეცნიერებისა, რომელიც თავის მხრივ ხალხს, ქვეყანას წარმატებით ემსახურებოდა.



ივანე ბერიტაშვილი



კირიაკ ზავრიევი



კორნელი კეკელიძე



არნოლდ ჩიქობავა



დიმიტრი უზნაძე

**რედაქციისგან: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებანი მოგვიანებით, 22 მაისს გაიმართება.**

# ჟურნალისტის თვალსაწიერი

– ასეთი სათაურით არის გამოქვეყნებული ბრიტანულ გაზეთ **„ფაინენშელ თაიმსში“ (Financial Times)** სტატია, რომლის ავტორი **საიმონ კუპერი** ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის კოლექტიური იდენტურობის ჩამოყალიბების ფაქტორებზე მსჯელობს და ამასთან დაკავშირებით აშშ-სა და ევროპის (ევროკავშირის) ურთიერთობის პრობლემებს განიხილავს.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით.**

FINANCIAL TIMES




# „ტრამპი – ევროპის მთავარი მტერი“!

**პოლიტიკური აზროვნების ძველი პრინციპის თანახმად, კოლექტიური იდენტურობის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია მტრის არსებობა. მოწინააღმდეგემ შეიძლება ხელი შეუწყოს ხალხის გაერთიანებას. ადოლფ ჰიტლერმა მსგავსი როლი შეასრულა დიდი ბრიტანეთისთვის, ხოლო საბჭოთა კავშირმა – აშშ-სათვის. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა კრახი განიცადა და დაიშალა, ამერიკული ერთიანობაც დაინგრა.**

მაგრამ ბოლო ათწლეულში ევროკავშირსაც გამოუჩნდა გარეშე მტრები: **ჯერ „ბრექსიტის“** მომხრეები, შემდეგ ვლადიმერ პუტინი, რომლის უკან ჩინეთი მოჩანს და ახლა, როგორც იქნა, იდეალური მტერი – დონალდ ტრამპი, რომელმაც ევროპის გაერთიანებისათვის უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე თვითონ ევროპელებმა.

მტრების არარსებობამ ევროპა საკმაოდ დიდი ხნით დაასუსტა. ისე ჩანდა, რომ უბრალოდ არ იყო რაიმე განსაკუთრებული აუცილებლობა ევროპას მტერი ჰყოლოდა და მტრის ძიებას არც არავინ აპირებდა. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის დროს, 1957 წელს, მის წინააღმდეგ არავინ არ გამოდიოდა. ეს იყო მრავალი საუკუნის ნატვრა, იდეალი – საკუთარი ნებით გაერთიანებული ევროპა ომის გარეშე, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. როცა იმ ხალხების ლიდერები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ერთმანეთს ებრძოდნენ და ხოცავდნენ, გაერთიანებაზე დათანხმდნენ და საკუთარ ამომრჩეველზსაც გაანდეს განზრახვა, თითქმის ყველა სწრაფად დაეთანხმა. აშშ-მა მხარი დაუჭირა ევროგაერთიანებას. დიდი ბრიტანეთი, მართალია, არ მიუერთდა, მაგრამ არც წინააღმდეგ არ წასულა: **„გინდათ გაერთიანება? გაერთიანდით, ჩვენ გეთანხმებით“.** მოსკოვი ევროგაერთიანების შექმნაზე არ დარდობდა, რადგან კრემლს უფრო მეტად ნატო აინტერესებდა. საბოლოოდ ექვსი ქვეყნის პარლამენტებმა ევროგაერთიანების შექმნის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინეს.

**ტექნოკრატული ეკონომიკური კავშირის შექმნას საერთო მტრების გარეშე რაიმე განსაკუთრებული ემოციები არ გამოუწვევია. არავის არ ჰქონდა სურვილი ლურჯ-ოქროსფერი დროშისათვის მომკვდარიყო. ერთადერთი რაც ხდებოდა, იყო ის, რომ მცირერიცხოვანი ულტრები „რაიდერის თასის“ გათამაშების დროს (გოლფის ტურნირი ევროპასა და აშშ-ს შორის) დროშებს აფრიალებდნენ. იმდროინდელ სერიალებსა და ფილმებში, რომლის გმირები გეოპოლიტიკურ ბოროტმოქმედებს ებრძოდნენ, მთავარი როლის შემსრულებელი ყოველთვის ამერიკელი იყო და არაევროპელი.**

ბრექსიტი ევროკავშირის არსებობისათვის პირველი პოტენციური საფრთხე გახდა. დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ მის კვალს ბევრი გაჰყვებოდა. 2018 წელს იტალიელი ულტრამემარჯვენეების ლიდერმა მატეო სალვინმა, ქვეყნის მთავრობის შემადგენლობაში შესვლამდე, ევროკავშირი „ტიტანიკს“ შეადარა, რომელიც სულ მალე ჩაიძირებოდა. ორგანიზაციის დაშლის საფრთხის პასუხად ევროპელთა მხარდაჭერა ყველაზე მაღალ ნიშნულამდე ავიდა 1983 წლიდან, რაც გამოკითხვამ – „ევრობარომეტრმაც“ დაადასტურა. ბრექსიტმა უნიკალური როლი შეასრულა კონტინენტური ევროპის შემჭიდროებაში და ხალხებს ევროკავშირიდან გასვლის სურვილი გაუქრო.

შემდეგ „ბრექსიტის“ მომხრეები (ანუ ევროპის ერთიანობის მტრები) ვლადიმერ პუტინმა ჩაანაცვლა, მთავარი მტრის პოსტი დაიკავა და ამით ევროპელების ერთიანობა განამტკიცა. 2024 წლის შემოდგომისათვის, ჯერ კიდევ დონალდ ტრამპის არჩევამდე, რესპონდენტთა 74%-მა, რომლებიც „ევრობარომეტრის“ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ, განაცხადეს, რომ თავს ევროკავშირის მოქალაქედ თვლიან. შეიძლება ითქვას, რომ 74%-იანი მხარდაჭერა ყველაზე მაღალ მაჩვენებლად ითვლება ბოლო 20 წლის განმავლობაში.

**მაგრამ დღეისათვის ევროპის „საუკეთესო მტრად“ მაინც დონალდ ტრამპი ითვლება: სცენარისტებისათვის სპეციალურად რომ დაევალებინათ, ისინიც კი ვერ მოიფიქრებდნენ უკეთეს ავკაცს ევროპისათვის. დონალდ ტრამპის როგორც ევროპისათვის ავის მსურველი ადამიანის სახე ყოველი ევროპელის გონებას ჩასწვდა – ისეთებისაც კი, რომელიც პოლიტიკაზე თვეში მხოლოდ ხუთ წუთს ფიქრობს. გრენლანდიის მითვისების ტრამპისეული განზრახვა ევროპელთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ევროპელებმა ისიც დაინახეს, რომ მთავარ ავკაცს გვერდით უფრო მომცრო ბოროტმოქმედები უდგანან – ამერიკელი ტექნოლოგიური ოლიგარქები, რომელთა პროდუქტები ევროპელებისთვის ცნობილია და როგორც იტყვიან, „მათ სულებში და გონებაში ხელს აფათურებენ“.**

...როგორც იქნა, ევროპამ გააცნობიერა რეალობა. ამასთან ის, რომ კონტინენტი ამერიკას შორდება, ერთდროულად სასიხარულოც არის და შიშისმომგვრელიც. სხვათა შორის, ემოციებს მხოლოდ ელიტა კი არ ამჟღავნებს, არამედ ჩვეულებრივი, რიგითი ევროპელებიც. ფრანგული ჟურნალის **Le Grand Continent**-ის დაკვეთით ევროკავშირში ჩატარებულმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ საოცარი შედეგები აჩვენა: რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (70%) დაეთანხმა ევროპის ჯარების გაგზავნას გრენლანდიის დასაცავად, 51% თვლის, რომ დონალდ ტრამპი ევროპის მტერია და მხოლოდ 8%-ს მიაჩნია იგი მეგობრად.

გერმანელი ქრისტიან-დემოკრატები, რომლებიც ევროატლანტიზმის მტკიცე მომხრეები არიან, დონალდ ტრამპის დემოკრატიისადმი ერთგულებას ნეგატიურად აფასებენ – მათგან მხოლოდ 3% თვლის, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დემოკრატიის პრინციპებს მხარს უჭერს და ევროპისადმი მეგობრულად არის განწყობილი. სხვათა შორის, ძალზე უჩვეულოა ევროპელებში საგარეოპოლიტიკური საკითხის ესოდენ მაღალ დონეზე ცოდნა – „გრენლანდიის პრობლემის“ ირგვლივ ევროპელები თითქმის ყველაფერში გარკვეულები და ინფორმირებულები არიან.

**გამოკითხვამ გამოავლინა მხოლოდ ერთი ევროპული პოლიტიკური დაჯგუფება, რომელშიც დონალდ ტრამპის გამო აზრი გაიყო: უკიდურესი მემარჯვენეები. ზოგიერთ ამომრჩეველს აშშ-ის პრეზიდენტი მოსწონს, ზოგიერთს კი – არა. დონალდ ტრამპი ისეთივე უთანხმოებას იწვევს და განხეთქილება შეაქვს უკიდურეს მემარჯვენეებში, როგორსაც მიგრაციის საკითხი იწვევს ევროპელ უკიდურეს მემარცხენეებში.**

**ადრე ვფიქრობდი, რომ ევროპა მხოლოდ საერთო ეკონომიკური ბაზარია და ევროპელებში პოლიტიკური სოლიდარობა არ დომინირებს. როგორც ჩანს, ვცდებოდი. სიტუაცია აშკარად იცვლება და უმჯობესდება.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

---




# ევროკავშირმა იანვარში რეკორდული რაოდენობით რუსული თხევადი ბუნებრივი აირი შეიძინა!

**რუსული თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) ევროკავშირში მიწოდებამ იანვარში რეკორდულ მაქსიმუმს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ბლოკი 2027 წლიდან რუსული გაზის იმპორტის სრულად აკრძალვისთვის ემზადება.**

რუსული თხევადი ბუნებრივი აირის ევროკავშირში იმპორტმა იანვარში 2.276 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწია, რაც ოდნავ აღემატება 2025 წლის დეკემბერში დაფიქსირებულ მაჩვენებელს და 2025 წლის იანვრის 2.05 მილიარდ კუბურ მეტრს, იუწყება The Caspian Post ევროპული ანალიტიკური ცენტრის, **Bruegel**-ის მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარებული გამოთვლებზე დაყრდნობით.

ამერიკული მიმართულებიდან, ძირითადად აშშ-დან და ტრინიდადიდან და ტობაგოდან, თხევადი ბუნებრივი აირის მიწოდება, ყოველთვიურად 18%-ით გაიზარდა და 8 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწია. აფრიკიდან მიწოდებამ იანვარში დაახლოებით 772 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, ხოლო, ახლო აღმოსავლეთიდან მიწოდებამ – 571 მილიონი კუბური მეტრი. **Bruegel**-ის მონაცემებით, საერთო ჯამში, ევროპამ იანვარში 12.2 მილიარდი კუბური მეტრი თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტირება მოახდინა. ეს 2025 წლის დეკემბერთან შედარებით 1.3%-იან ზრდას წარმოადგენს, ხოლო, წლიურ მაჩვენებელთან შედარებით – 6%-იან ზრდას.

# დიდი ბრიტანეთი განიხილავს მანდელსონისთვის გადახდილ კომპენსაციას...



**დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო განიხილავს მანდელსონისთვის გადახდილ კომპენსაციას, რომელიც მას აშშ-ში ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ გადაეცა,** – ამის შესახებ **„ბიბისი“** წერს.

წყაროების თქმით, კომპენსაციის გადახედვა მას შემდეგ დაიწყო, რაც აშშ-ში ბრიტანეთის ელჩის ჯეფრი ეპშტეინთან კავშირების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. როგორც **„ბიბისი“** წერს, მანდელსონს დაახლოებით 40 000 ფუნტამდე კომპენსაცია გადაეცა მას შემდეგ, რაც 2025 წლის სექტემბერში თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ახლა, შესაძლოა, მანდელსონს ამ კომპენსაციის დაბრუნება მოუწიოს. ამჟამად პიტერ მანდელსონის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს. გამოძიების ფარგლებში პოლიციამ მანდელსონის სახლებში ჩხრეკა ჩაატარა.

# საფრანგეთში კულტურის ყოფილი მინისტრისა და მისი შვილის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო



**ჯეფრი ეპშტეინის მასალების გამოქვეყნების შემდეგ, საფრანგეთში კულტურის ყოფილი მინისტრისა და მისი შვილის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო.**

საქმე ეხება საფრანგეთის კულტურის ყოფილი მინისტრის, **ჯეკ ლენგისა** და მისი ქალიშვილის მჭიდრო კავშირებს ჯეფრი ეპშტეინთან. კერძოდ, გამოძიება მიმდინარეობს ფულის გათეთრების შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჟან-ნოელ ბარომ** განაცხადა, რომ კულტურის ყოფილი მინისტრი 8 თებერვალს დაიბარა. ბაროს თქმით, მასალებში არსებული ინფორმაცია უკიდურესად სერიოზულია და სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. როგორც ფრანგული მედია წერს, ლენგის ქალიშვილის სახელი ეპშტეინის თანამფლობელობაში არსებული ოფშორული კომპანიის დოკუმენტებში ფიგურირებს.

თავად ლენგი, რომელიც სხვადასხვა დროს კულტურისა და განათლების მინისტრის თანამდებობას იკავებდა, ბრალდებებს უარყოფს.

# ჯეფრი ეპშტეინის საქმის დეტალები



(მეხუთე გვერდიდან) თავის მემუარებში **ვირჯინია ჯუფრე** ამტკიცებდა, რომ პრინც ენდრიუსთან სამჯერ ჰქონდა სექსი.

**„ეპშტეინს, ენდის, კიდევ რვა გოგონას და მე ერთად გვქონდა სექსი,** – ამბობდა ის და დასძენდა: **ეს იყო საშინელი ორგია – ექსპერიმენტები შოლტებით, ბორკილებით და წამების სხვა ინსტრუმენტებით“. ჯუფრე აცხადებდა, რომ ეს ჯაჭვები და სხვა მოწყობილობები „ისეთ ტკივილს იწვევდა, რომ ვლოცულობდი, გონება დამეკარგა. გონება რომ დამეკარგებოდა, გონს მოვყავდი და ისევ მცემდნენ“.**

ვირჯინია ჯუფრემ ეს ყველაფერი თავის წიგნში აღწერა და 2025 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამერიკელი ჟურნალისტი **შონ ეტვუდი** ახლახან ეპშტეინის საქმის დაზარალებულ, მოდელ ჯულიეტ როსს ესაუბრა.

გთავაზობთ ამ ინტერვიუს ნაწყვეტს:

**შონ ეტვუდი:** – როგორც ვხვდები, ეპშტეინი იყენებდა მუდმივად განმეორებად სქემას. ის სთხოვდა გოგონებს მისთვის მასაჟი გაეკეთებინათ. თქვენთანაც ასე მოიქცა?

**ჯულიეტ როსი:** – დიახ. მას შემდეგ, რაც მე მიმიწვიეს ქასტინგზე სამოდელო სამსახურისთვის, მითხრეს, რადგან ჩვენი ხელმძღვანელის მასაჟისტმა ვიზიტი გააუქმა, ხომ არ გავაკეთებდი მასაჟს, რაშიც გადამიხდიდნენ 300 დოლარს. მე რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

**– მაქსველთან უკვე იყავით შენახვედრი?**

– ჯერ არ ვიცნობდი მაქსველს, მე მას შევხვდი კუნძულზე, ის თითქმის სულ იქ იყო და როცა მითხრეს, რომ მაქსველი ეპშტეინის გოგონა იყო, შიშმა შემიპყრო, რადგან ყოველთვის, როცა მე მივყავდი კუნძულზე სხვა გოგონებთან ერთად, სულ ვფიქრობდი: იცის თუ არა მისმა გოგონამ ამის შესახებ?..

მე გამაუპატიურეს და ცდილობდნენ ვყოფილიყავი ძალიან დამცირებული, როგორც ფეხის შესაწმენდი ჩვარი... და... წარმოიდგინეთ.... მე ხანდახან ვფიქრობდი: ღმერთო, ეს რა ხდება?.

უკაცრავად, არ შემიძლია. (ტირის.)




**– კუნძულიდან ფლორიდის რეზიდენციაში გადახვედით. რა მოხდა იქ?**

– ფლორიდაში, მანამდე სანამ ნიუ-იორკში გადამიყვანდნენ მან (ეპშტეინმა. ჯულიეტ როსი მთელი ინტერვიუს განმავლობაში ჯეფრი ეპშტეინს ნაცვალსახელით მოიხსენიებს. – **ავტ.**) მითხრა, რომ ჰქონდა ჩემი ოჯახის წევრების სია, თვითონ ცრუ-ზე მუშაობდა და დასძინა, გოგონამ, რომელმაც ის დაადანაშაულა გაუპატიურებაში, ჩასვეს ციხეში, რადგან ნარკოტიკი აღმოუჩინეს საცხოვრებელ ბინაში. ძალიან შემეშინდა, პანიკაში ჩავვარდი, რადგან კარგად ვიცოდი, ეს ერთი შეხედვით მშვიდი კაცი სხვა შემთხვევაში როგორ ხდებოდა მხეცი.

ახლა არ მინდა ამის განსჯა, მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ძალიან გაუჭირდებოდა ვინმეს ასეთი ადამიანის წინააღმდეგ წასვლა, ჯერ ერთი, თუნდაც იმიტომ, რომ ის იყო ბილ კლინტონის საუკეთესო მეგობარი და ხშირად ესაუბრებოდა ტელეფონზე ბილ გეიტსს. მისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა ისიც მითხრა, გეიტსი ვახშამზე ყოველ კვირა მოდის კუნძულზეო... ჩვენ გვაიძულებდნენ შევსულიყავით მის (ეპშტეინის) საძინებელში... მაგრამ არის გარკვეული საშიში ამბები... ძალიან არ მიყვარს ყველაფერ ამის გახსენება. ძალიან მეშინია... ვირჯინიას (ჯუფრე) და სარა რენსონს აიძულებდნენ საშინელი რაღაცების კეთებას...

18 თვეს მატარებდნენ მის თითქმის ყველა რეზიდენციაში და ახლა როცა მეკითხებიან, რატომ ვბრუნდებოდი იქ, საქმე იმაშია, რომ მე ისე ღრმად ვიყავი უკვე ამ ყველაფერში ჩაფლული, თანაც სასტიკად მემუქრებოდნენ, აღარ მინდოდა ვინმეს გაბრაზება, ვხედავდი, რომ ესენი იყვნენ მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანები. შემდეგ ფოქს ნიუსზე ვირჯინია ჯუფრს მოვუსმინე, ის ამბობდა, რომ ციხეში მის მაგივრად სხვა იყო მკვდარი, ის (ეპშტეინი) კი დღემდე ცოცხალია. მეც მჯერა ამის, რადგან მათ შეუძლიათ ადამიანების კლონირება. ბილ კლინტონი მისი საუკეთესო მეგობარი იყო.

ბილ კლინტონის კისერზეა დიდი რაოდენობით მსხვერპლი, მე ღიად განვაცხადე ამის შესახებ. ასევე მივეცი ჩვენება კევინ სპეისის წინააღმდეგაც, მის სახელსაც ბევრი გარდაცვლილის ისტორია უკავშირდება. ახლა ბევრი ლაპარაკობს რომ ისინი არ ყოფილან მის (ეპშტეინის) კუნძულზე, მაგრამ ყველა ცრუობს, მე პირადად ნანახი მყავს ეს ადამიანები იქ“.

* * *

**ეპშტეინის ფაილებში მოხსენიებულ სხვა ცნობილ სახეებთან: მიკ ჯაგერთან, დაიანა როსისთან, ივანკა ტრამპთან, ეთელ კენედისთან (რობერტ ფ. კენედი უმცროსის დედა), გარდაცვლილ სენატორ ტედ კენედისთან, კერი კენედისთან, ნიუ-იორკის ყოფილ გუბერნატორთან ენდრიუ კუომოსთან, კორტნი ლავთან, დევიდ კოხთან, ალან დერშოვიცთან, ამერიკელ დიპლომატ ჯონ კერისთან, ჯონ ჰანტსმენთან, ლიზ ჰარლისთან, ნაომი კემპბელთან, რალფ ფაინსთან, დასტინ ჰოფმანთან, ალეკ ბოლდუინთან და სხვებთან ერთად გაისმა სომხეთის პრეზიდენტის ნიკოლ ფაშინიანის სახელიც, რომელიც მისტერ ჯეფრის დოსიეში 16-ჯერ არის მოხსენიებული, მისი მეუღლე ანა ჰაკობიანი კი 24-ჯერ.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტი **ილჰამ ალიევი** ეპშტეინის დოსიეში 101-ჯერ ფიგურირებს.

**ვოლოდიმირ ზელენსკი** მოხსენიებულია უკრაინიდან ქალებისა და ბავშვების ვაჭრობასთან დაკავშირებით.

ვარაუდობენ, რომ მაღალი რანგის პედოფილებისთვის ბავშვებით ვაჭრობა უკრაინაში ტრეფიკინგის ერთ-ერთი მთავარი მარშრუტია, რის გამოც უკრაინელი ბავშვები, შესაძლოა, ეპშტეინის კუნძულზე ტრეფიკინგის მსხვერპლი ყოფილიყვნენ. ეპშტეინის ფაილებში **მიხეილ სააკაშვილიცაა** მოხსენიებული. ცნობილი ამერიკელი ილუზიონისტი **დევიდ ბლეინი,** რომელიც ხშირად სტუმრობდა ეპშტეინის კერძო კუნძულს შოუების ჩასატარებლად, ამბობს, რომ მას კუნძულზე შეხვედრები ჰქონდა **ჰილარი კლინტონთან, ჯორჯ ბუშთან,** აშშ-ის თავდაცვის მინისტრთან **დონალდ რენსფილდთან,** პენტაგონის უფროსთან, **არნოლდ შვარცენეგერთან, ჰენრი კისინჯერთან, ბილ გეიტსთან**, **ბლუმბერგის მაღალი საზოგადოების წევრებთან, დიმიტრი მედვედევთან,** საქართველოს პრეზიდენტთან **მიხეილ სააკაშვილთან,** უკრაინის ყოფილ პრეზიდენტთან **ვიქტორ იანუკოვიჩთან** და ყაზახეთის პრეზიდენტ **ნურსულთან ნაზარბაევთან.**

მაგრამ უფრო საინტერესოა, რომ ამ ფაილებში **კახა ბენდუქიძის** სახელიც ფიგურირებს. წერილი გაგზავნილია ჯეფრი ეპშტეინისთვის და მოიცავს მისტერ ჯეფრის შეხვედრის შესახებ ინფორმაციას კახა ბენდუქიძესთან. წერილში ასევე მოცემულია ვიკიპედიის ბმული და ვიდეოს ბმული ბენდუქიძესთან დაკავშირებით. ახლა ზოგიერთი იტყვის, რომ ეს ადამიანები, **სააკაშვილი, ბენდუქიძე** და **ნაცმოძრაობის სხვა წარმომადგენლები** ახლოს იყვნენ მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკურ ელიტასთან და ამიტომაც მიატმასნეს მათ სახელებსო!.. დავუშვათ, ასეც იყოს, მაგრამ გაიხსენეთ სამეგრელოს კასრების კადრები, გაიხსენეთ გლდანის მე-8 საპყრობილის კოშმარები და დარწმუნდებით, რომ სააკაშვილიც და ბენდუქიძეც, ეპშტეინთან პირდაპირი კავშირი თუ არ ჰქონდათ, ჰქონდათ სულიერი კავშირები და საქართველოში თავის დროზე მინი-ჯოჯოხეთი მოაწყვეს, მინი-ჯოჯოხეთი ეპშტეინის გრანდიოზულ ჯოჯოხეთთან შედარებით. შესაძლოა, საქართველოში განხორციელებული საშინელებათა კასკადი ეპშტეინის სცენარების განმეორება იყო და ეს პატარა კაცუნები დიდი მონსტრების როლებს თამაშობდნენ?!

ვინ იცის!

**მაგრამ მე მიტრიალებს კიდევ ერთი კითხვა: იყო თუ არა ეპშტეინი სადაზვერვო სამსახურის აგენტი, ან ძლიერთა იმა ქვეყნისათათვის მომუშავე კერძო აგენტი, კომპრომატების მიმწოდებელი, რომელსაც იყენებდნენ როგორც აშშ-ს, ასევე ისრაელის სადაზვერვო-საინფორმაციო ჯგუფები, რადგან ეპშტეინის კუნძულის სექსმომსახურებით სარგებლობდა ამერიკული, ბრიტანული და ებრაული ელიტა!..**

**მე ვფიქრობ, ეპშტეინის საქმე უფრო დიდი თემის მწვერვალია, სადაც თავს იყრიან გარყვნილებაში ჩაფლული მაღალი რანგის პოლიტიკოსები, მეცნიერები, კულტურული და რელიგიური მოღვაწეები ერთმანეთთან დაკავშირებული სუპრანაციონალური ქსელით, იგივე გლობალური ნეოლიბერალური მაფია, რომელიც უღმერთო საზოგადოებას ქმნის და გაფომეტს ეთაყვანება.**



**ირანდა კალანდაძე**

---

## საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი

# გადაწყვეტილება

### არბიტრაჟის სახელით

**საქმე №01-2025**

**ქ. თბილისი 28 იანვარი, 2026 წელი**

**საარბიტრაჟო სხდომის თავმჯდომარე** – ლალი გოჩელაშვილი
**რეგისტრატორი** – ქეთევან დუმბაძე
**მოსარჩელე** – შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
**წარმომადგენელი** – ნინო ტორჩინავა
**მოპასუხე** – შპს რექარ ტექნოლოჯი
**დავის საგანი:** ხელშეკრულების შეწყვეტა, ქონების დაბრუნება, თანხის დაკისრება.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი:**

ვიხელმძღვანელე საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-5, მე-9, 28-ე მუხლებით და

**გ ა დ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე:**

1. შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონას“ (ს/ნ 215147990) და შპს რექარ ტექნოლოჯს (ს/ნ 415116966) შორის 2024 წლის 05 აპრილს დადებული საიჯარო ხელშეკრულება შეწყდეს.
3. შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონას“ (ს/ნ 215147990) მფლობელობაში დაუბრუნდეს 3 290 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. ფოთში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა) საკადასტრო კოდი: 04.01.01.840.
4. შპს რექარ ტექნოლოჯს (ს/ნ 415116966) შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ (ს/ნ 215147990) სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს 9 870 (ცხრა ათას რვაას სამოცდაათი) აშშ დოლარი. მასვე დაეკისროს შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი 1165.13 (ათას ას სამოცდახუთი და ცამეტი) ლარის ოდენობით.
5. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

## საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი

# გადაწყვეტილება

### არბიტრაჟის სახელით

**საქმე №02-2025**

**ქ. თბილისი 28 იანვარი, 2026 წელი**

**საარბიტრაჟო სხდომის თავმჯდომარე** – ლალი გოჩელაშვილი
**რეგისტრატორი** – ქეთევან დუმბაძე
**მოსარჩელე** – შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
**წარმომადგენელი** – ნინო ტორჩინავა
**მოპასუხე** – შპს თიმბერ სოლუშენი
**დავის საგანი:** ხელშეკრულების შეწყვეტა, ქონების დაბრუნება, თანხის დაკისრება;

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო   ნ ა წ ი ლ ი:**

ვიხელმძღვანელე საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-5, მე-9, 28-ე მუხლებით და

**გ ა დ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე:**

1. შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონას“ (ს/ნ 215147990) და შპს თიმბერ სოლუშენს (ს/ნ 415116804) შორის 2024 წლის 22 აპრილს დადებული საიჯარო ხელშეკრულება შეწყდეს.
3. შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონას“ (ს/ნ 215147990) მფლობელობაში დაუბრუნდეს 999,60 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარე ქ. ფოთში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა) საკადასტრო კოდი: 04.01.01.840.
4. შპს „თიმბერ სოლუშენს“ (ს/ნ415116804) შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ (ს/ნ 215147990) სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისროს 3998,40 (სამი ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი და ორმოცი) აშშ დოლარი. მასვე დაეკისროს შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი 531.5 (ხუთას ოცდათერთმეტი და ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
5. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

# მილანს, ქათქათას...




**ზამთრის 25-ე ოლიმპიური თამაშები სავსებით შესაძლებელია პირველი ქართული მედლით ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწეროს, თუმცა ვიდრე ფიგურისტთა ცხელ ყინულზე გადავალთ, იტალიაში ჩვენი დელეგაციის მონაწილეობით განვითარებულ სპორტულ-პოლიტიკურ მოვლენებზე შევჩერდეთ.**




**უპირველესად,** ვეკითხებით ოპოზიციად წოდებული უსამშობლოთა კასტის რადიკალ წარმომადგენლებს: თუ დასავლეთი არ ცნობს ლეგიტიმურად ქვეყნის მთავრობასა და პრეზიდენტს, რატომ მიიწვიეს **მიხეილ ყაველაშვილი** მეუღლე **თამარ ბაგ-**



**რატიონისა** და საგარეო საქმეთა მინისტრ **მაკა ბოჭორიშვილის** თანხლებით ჯერ მასპინძელი ქვეყნის კოლეგის, ხოლო მოგვიანებით – საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელის სახელით გამართულ უმაღლესი დონის საზეიმო მიღებაზე 150-მდე სახელმწიფოს ლიდერთა მონაწილეობით?

არაა გამორიცხული, ვინმემ ბოღმისაგან წაისისინოს: მერე რა მოხდა, პროტოკოლით გათვალისწინებულ ღონისძიებაზე ყველას იწვევენო. მათ გასაგონად ვიტყვით: კი ბატონო, ეტიკეტი ეტიკეტია, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ თუ კეთროვანივით მოკვეთილი ვართ, ასეთი გრანდიოზული მასშტაბის კომპლექსურ ფორუმზე როგორღა აღმოვჩნდით – სანქციები ხომ ყველას უნდა შეხებოდა?

მოკლედ, ეტყობა წყალს ვნაყავთ უსაგნო მსჯელობით, დროის ფუჭად ხარჯვას კი სჯობს გახსნის ცერემონიალით დავკავდეთ.

ამთავითვე მოვჭრათ – მოდის დედაქალაქის სან-სიროს სტადიონზე დადგმულმა 3-საათიანმა სპექტაკლმა სრული ბრწყინვალებით წარმოაჩინა რომისა და მისი სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს სიდიადე, რომელიც, მიუხედავად ლპობად რეჟიმში მოტივტივე ევროკავშირის წევრობისა, ინარჩუნებს თვითმყოფადობასა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი ერთგულებას. რამდენად ძნელია ეს თანამედროვე ლიბერალური ჭაობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ადვილი ასახსნელია.

ზოგადი საუბარი რომ არ დაგვწამონ, თუნდაც გემოვნებიანი პერ-



ფორმანსის დებიუტს გავუსვათ ხაზი, როცა მთელი მსოფლიო დატკბა გენიალურ აპენინელთა ტრიოს: ვერდი-პუჩინი-როსინის უკვდავი ჰანგებით, ასეთი უვერტიურა კი, დარწმუნებულნი ვართ, საუკუნეთა სიღრმიდან დადებითად დამუხტავს ორკვირიანი დაუვიწყარი პრემიერის თითოეულ მოქმედ პირსა და შემსრულებელს.

რაც შეეხება ჭვაროსანთა ამბიციებს, მისი საფუძვლიანობა თვალნათლივ დაადასტურა ფიგურისტთა გუნდური ტურნირის სასტარტო დღემ, რომელიც მოკლე პროგრამაში 20-ქულიანი მონაგრითა და მე-4 ადგილით დავასრულეთ **(ბერულავა-მეტელკინა** 9 ქულა, **გუბანოვა** 6 ქულა, **სმოლკინი – დევისი** 5 ქულა), ევროპის მოქმედ გვირგვინოსანს **ნიკა ეგაძეს** კი პარტნიორთაგან ბოლოს უნდა ესრიალა და, უარეს შემთხვევაში, მეხუთე პოზიციაზე უნდა დავქვეითებულიყავით, რაც ავტომატურად მაინც გვინაღდებდა ფინალში ასპარეზობას. ცნობისთვის: ერთ-ერთი ფავორიტი იაპონია საშინლად ჩაება ბრძოლაში – 3 ქულა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი 10-იანი დაიმსახურა და ლიდერ 25-ქულიან აშშ-ს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებოდა, მესამეზე კი მასპინძლები იყუნენ – 22 ქულა. ჩვენი უშუალო კონკურენტები: კანადა – 19, საფრანგეთი – 17 ქულა.

ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი ჩანაფიქრი, როგორც მეორე დღეს ნიკამ გაგვახარა – მან წარმატებით შეასრულა პროგრამა-მინიმუმი, გუნდი მე-5 ადგილზე გაიყვანა და ფინალის საგზური მოუტანა. გარდა სპორტულისა, მან სხვა თვისებებიც გამოავლინა ფორსმაჟორულ ვითარებაში, რადგან თავისუფალი სრიალის დასაწყისშივე ერთ-ერთი ელემენტი გამოტოვა და წამიერად მოუწია სცენარის შეცვლა.

დამაიმედებლად ჩავებით იმავე საღამოს ფინალურ ბლოკშიც, სადაც დევის-სმოლკინის წყვილმა სპორტულ ცეკვებში იაპონელებს გაუსწრო, მედლისთვის კი დანარჩენ ჭვაროსნებს უნდა შეეტიათ...



# ესპანეთი დაბრუნდა!..

**მართალია, ფუტსალში ევროპის ჩემპიონატი უჩვენოდ დასრულდა, მაგრამ ქართული კვალი უშუალოდ ბრინჯაოსათვის გამართულ უმძაფრეს ბრძოლაში თვალნათელი გახლდათ, რადგან ძვირფასი მედლისთვის ერთმანეთს ავთანდილ ასათიანის გუნდის ჯგუფური რაუნდის მეტოქეები შეხვდნენ.**

მიუხედავად იმისა, რომ ფრანგებმა ძირითადი დროის ბოლომდე 7 წამით ადრე გაათანაბრეს ანგარიში – 5:5, პენალტების სერიაში ბალკანელები პირველად მაინც ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკზე.

**ფინალი.** ესპანეთი – პორტუგალია 5:3. ეს ესპანელთა მე-8 ტიტულია ბოლო 2 ტურნირის ტრიუმფატორებთან.




# მამაშვილობის მადლი

**აწ განსვენებული ცნობილი მწვრთნელის თემურ მახარაძის ვაჟი შოთა მახარაძე მოლდოვის 2025 წლის საუკეთესო დამრიგებლად აღიარეს.**

45 წლის სპეციალისტი პეტროკუბს შარშანდელი ზაფხულიდან ავარჯიშებს და აღსანიშნავია, რომ ამ გუნდმა რეგულარული სეზონი 48 ქულით პირველ ადგილზე დაასრულა, რაც ავტომატურად საჩემპიონო ჯგუფში თამაშს ნიშნავს. ტურნირი მარტიდან განახლდება და, ბუნებრივია, ჩვენი თანამემამულე შეგირდებთან ერთად ტიტულისთვის იბრძოლებს.

დავძენთ, რომ ღირსეული მამის ღირსეული შვილი მოლდოვაში 2018 წლიდან მოღვაწეობს და ერთ დროს ტირასპოლის განთქმული შერიფის აკადემიაში 19-წლამდელთა დაოსტატებაშიც მონაწილეობდა, ხოლო ამჟამად საკლუბო კარიერას პარალელურად ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თავკაცის ასისტენტობას უთავსებს.




# საიმედო რეზერვი



**მაშინ, როცა ოლიმპიური ჩემპიონი და საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გენო პეტრიაშვილი ხალიჩას დაუბრუნდა და პროფესიულ ჭიდაობაში მოსინჯავს ძალებს, ჩვენი ეროვნული ნაკრების ეგრეთ წოდებულმა წვრილფეხობამ ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში გამართულ სეზონის პირველ სარეიტინგო ტურნირში მოპოვებული 4 მედლით გუნდური მე-3 ადგილი დაიკავა.**

თავისუფალი სტილის ჭვაროსანთაგან პრიზიორები გახდნენ: **ვერცხლი:** აკაკი ქემერტელიძე (70), ვლადიმერ გამყრელიძე (86); **ბრინჯაო:** ნიკა ზაქაშვილი (65), ანდრო მარგიშვილი (97).

# საზაფხულო ციებ-ცხელება

**გერმანიის ქალაქმა ფრესინგმა ევროპის ასაკობრივი საკალათბურთო ჩემპიონატების წილისყრას უმასპინძლა და გაირკვა ქართული გუნდების მომავალ მეტოქეთა ვინაობა.**




**ვაჟები. 16-წლამდელთა ნაკრები. „ა“ დივიზიონი.** ორადეა (რუმინეთი). 7-15 აგვისტო. „გ“ ჯგუფი. ესპანეთი, ისრაელი, საბერძნეთი.

**18-წლამდელთა ნაკრები. „ბ“ დივიზიონი.** რიეკა (ხორვატეთი). 24 ივლისი – 2 აგვისტო. „დ“ ჯგუფი. შვედეთი, მაკედონია, უნგრეთი, ბოსნია.

**20-წლამდელთა ნაკრები. „ბ“ დივიზიონი.** ბრატისლავა (სლოვაკეთი). 10-19 ივლისი. „ბ“ ჯგუფი. ესტონეთი, უკრაინა, შვეიცარია, ლუქსემბურგი.

**გოგონები. 16-წლამდელთა ნაკრები. „ბ“ დივიზიონი.** მალტა. 7-12 ივლისი. „ა“ ჯგუფი. კოსოვო, მალტა.

**18-წლამდელთა ნაკრები. „ბ“ დივიზიონი.** პეჟა (კოსოვო). 21-26 ივლისი. „ბ“ ჯგუფი. გიბრალტარი, სომხეთი, კოსოვო.

* * *

**ევროლიგა.** რეგულარული ტურნირი. 27-ე ტური. ბასკონია – ბარსელონა 91:97. **თორნიკე შენგელია** – 16 ქულა. მისი გუნდი მე-4 ადგილზეა.

# „გადაჭრილი გორის“ არქეოლოგიური ძეგლი რეგიონის მიზიდულობის ცენტრად უნდა იქცეს!



**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის მახლობლად არსებულ იმირის გორის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე „გადაჭრილი გორის“ არქეოლოგიური ძეგლი მოინახულეს.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სააგენტოს გენერალურ დირექტორ **თეა ონიანთან** ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში **ილია ჯალაღანია,** საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი **დავით ლორთქიფანიძე,** მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი **დაური ისმაილოვი,** საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან გიორგაძე** და არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები.



საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მინდია ჯალაბაძემ წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია აღმოჩენისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, ასევე ობიექტის დაცვისა და განვითარების მიზნით შექმნილი პროექტის შესაბამისად უკვე შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

გარე ზემოქმედებისგან ობიექტის დასაცავად, საყრდენ სვეტებზე დამონტაჟდა ლითონის ფერმული ტიპის გადახურვის კონსტრუქცია, რომელზეც მოეწყო პოლიკარბონატის ფილები. დამთვალიერებლების გადასაადგილებლად ლითონის კონსტრუქციაზე მოეწყო დაკიდებული პანდუსი შეფიცვრითა და მოაჯირით; დამონტაჟდა შიდა და გარე ელექტროგაყვანილობა.

პროექტი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით 2022 წელს დაიწყო და 2024 წელს დასრულდა.

მხარეებმა იმსჯელეს ობიექტის სამომავლო განვითარების პერსპექტივებსა და განსახორციელებელ ქმედებებზე, რაც „გადაჭრილ გორას“ ვიზიტორებისთვის საინტერესო ადგილად აქცევს.

აღინიშნა, რომ ქვემო ქართლის მხარე მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით და „გადაჭრილი გორა“ უნდა იქცეს რეგიონის ტურისტული მიზიდულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად, რადგან ძეგლი ძვ. წ. VI-V ათასწლეულით თარიღდება და ქვემო შულავრის ჯგუფის ნამოსახლარებში ერთიანდება. იგი ადრესამიწათმოქმედო ძეგლების უადრესი ნიმუშია.

ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩენილია ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული უძველესი ღვინის ჭურჭელი. კომპლექსური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანმა პირველად 8000 წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე მოაშინაურა ველური ვაზი და ღვინო დაწურა.

ადგილზე არქეოლოგიური გათხრები ყოველწლიურად ტარდება და საბოლოოდ მთელ ტერიტორიას მოიცავს.

# „პოლონელი არქიტექტორები საქართველოში“

**11 თებერვალს, 14.00 საათზე, ჩუბინაშვილის ეროვნულ კვლევით ცენტრში გაიმართება პრეზენტაცია – „პოლონელი არქიტექტორები საქართველოში“.**

**ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის ინფორმაციით, მომხსენებლები იქნებიან: დავით ხოშტარია და ფოტოგრაფი იუსტინა მიელნიკიევიჩი.**




## სამძიმარი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ცნობილ ჟურნალისტს ირანდა კალანდაძეს მამის

**ედვარდ კალანდაძის**

გარდაცვალების გამო.

# ბათუმში 16 წლის ბიჭი ხიდიდან გადავარდა და დაიღუპა

**ბათუმში, ბონის ბაზართან მდებარე სარკინიგზო ხიდიდან 16 წლის ბიჭი გადავარდა და დაიღუპა.**




არსებული ინფორმაციით, ბიჭი ხიდზე თანატოლებთან ერთად იმყოფებოდა და ფოტოებს იღებდა, როდესაც გადავარდა, ხიდის ქვეშ სატვირთო მატარებლის ვაგონზე დაეცა და სავარაუდოდ, მაღალი ძაბვის შედეგად დაიღუპა.

როგორც „კვირას“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

# დაზარალებულს სქესობრივ კავშირს აიძულებდა

**პროკურატურამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების, შენახვისა და გამოყენების, სექსუალური ხასიათის იძულებისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტებზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.**

უწყების ცნობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული სოციალურ ქსელ „Facebook“-ის ანგარიშზე უნებართვო შეღწევის გზით გაეცნო დაზარალებულის პირად მიმოწერას, რის შემდგომაც, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელების მუქარით უკანონოდ მოიპოვა დაზარალებულის ინტიმური შინაარსის ფოტოსურათები, ასევე, სახელის გამტეხი და პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებით, დაზარალებულს სქესობრივი კავშირის დამყარებას აიძულებდა.




**„დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გამოყენება) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის იძულება) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდა“.**

# ჩინეთში მშობლებმა 32 წლის წინ გატაცებული შვილი იპოვეს

**ჩინელმა მშობლებმა იპოვეს შვილი, რომელიც 1988 წლის 17 ოქტომბერს სასტუმროდან გასტაცეს. მაო ინი ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა ბიოლოგიურ მშობლებს. ის ორი წლის იყო, როცა გაიტაცეს.**

მშობლების ინფორმაციით, ბავშვი მამას საბავშვო ბაღიდან სახლში მიჰყავდა, როცა მას მოსწყურდა და მამას წყალი სთხოვა. მამამ ავტომობილი ახლომდებარე სასტუმროსთან შეაჩერა, თუმცა უკან დაბრუნებულს ვაჟი მანქანაში აღარ დახვდა.

შემთხვევა შენსის პროვინციაში, ქალაქ სიანში მოხდა.

ბავშვის დაკარგვის შემდეგ დედამისმა სამსახური მიატოვა და ჩინეთის 10-ზე მეტ პროვინციაში დაიწყო შვილის ძებნა, დაარიგა 100 ათასზე მეტი საინფორმაციო ბუკლეტი, თუმცა ათწლეულების განმავლობაში ქალს არავინ გამოხმაურებია.

**ამის მიუხედავად, მშობელს შვილის ძებნა არ შეუწყვეტია; დადიოდა ტელევიზიებში და ცდილობდა ასე მიეწვდინა ხმა იმ ადამიანებისთვის, ვისაც შესაძლოა, მისი შვილის შესახებ რაიმე სცოდნოდა.**

**2007 წელს ქალმა მოხალისეთა ჯგუფიც კი შექმნა. გაერთიანებას დაარქვა „შვილო, დაბრუნდი შინ“ და უკვე სხვა მშობლების დახმარება დაიწყო. ჯგუფის მიზანი დაკარგული ბავშვების მოძიება იყო. ამ დრომდე, მოხალისეებმა 29 დაკარგული ბავშვი დაუბრუნეს ოჯახს.**



**2020 წლის აპრილში სიანის პოლიციაში შევიდა შეტყობინება; სიჩუანის პროვინციიდან (გატაცების ადგილიდან 1 000 კილომეტრის მოშორებით) 34 წლის კაცი იტყობინებოდა, რომ მცირე ასაკში იშვილეს და ჰქონდა ეჭვი, რომ სწორედ ის ქალი იყო მისი მშობელი, რომელიც ათწლეულები ყველა საშუალებით ცდილობდა მის მოძებნას. მას დნმ-ის ანალიზი ჩაუტარეს და დადგინდა, რომ ის მართლაც ის ადამიანია, რომელიც 32 წლის წინ გაიტაცეს. როგორც ირკვევა, მოტაცების შემდეგ ბავშვი სხვა ოჯახს მიჰყიდეს.**



# დავით აღმაშენებლის ხსენების დღე ქუთაისში

**ქუთაისის მერიის ცნობით**, ქალაქის მერმა **დავით ერემეიშვილმა,** იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **გრიგოლ დალაქიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ჭიღვარიამ**, პარლამენტის წევრმა **ზაზა ლომინაძემ,** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, პატივი მიაგეს დიდი მეფის ხსოვნას და გვირგვინებით შეამკეს დავით აღმაშენებლის ძეგლი.

„დავითობის“ აღსანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები, გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კადეტები, „მრავალჟამიერი“ შეასრულა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა.

**„გაერთიანებული საქართველოს პირველი დედაქალაქიდან „დავითობას“ ვულოცავ სრულიად საქართველოს!**

**დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს განსაკუთრებულად აღვნიშნავთ ქუთაისში, რადგან სწორედ ჩვენი ქალაქიდან დაიწყო დავით IV აღმაშენებლის უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები და სახელმწიფოებრივი რეფორმები.**

**ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველო ყოველთვის იყოს ისეთი ძლიერი, დამოუკიდებელი და ერთიანი სახელმწიფო, როგორიც შექმნა დავით აღმაშენებელმა!“** – განაცხადა ქუთაისის მერმა **დავით ერემეიშვილმა.**

# 400-ზე მეტ დევნილ ოჯახს სახელმწიფო სახლს შეუსყიდის

**– ინფორმაციას დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს.**

მათივე ცნობით, აღნიშნული ოჯახების სია, სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა. იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ექვსთვიანი ვადა ეძლევათ, რათა სახლები, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, თავადვე შეარჩიონ და სააგენტოს წარუდგინონ.

**„მნიშვნელოვანია, რომ დევნილი ოჯახების განსახლების მიზნით, საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობების პარალელურად, სახლების შესყიდვის პროგრამამ, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა. 2025 წელს სააგენტომ სახლი 3000-მდე დევნილ ოჯახს შეუსყიდა.**

**მიმდინარე წელს იძულებით გადაადგილებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესი კიდევ უფრო აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება“,** – წერია ინფორმაციაში.





# ყაზბეგში პოეტ თენგო ავსაჯანიშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა

**„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განვითარების ცენტრში“ თენგო ავსაჯანიშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა.**

საღამოზე მოწვეული იყვნენ ცნობილი პოეტები, მოღვაწეები, თენგო ავსაჯანიშვილის მეგობრები და ოჯახის წევრები, რომლებმაც გაიხსენეს პოეტის ცხოვრება და სამშობლოსადმი სიყვარული. კიდევ ერთხელ უკვდავყვეს მისი პოეზია.

ღონისძიებას თენგო ავსაჯანიშვილის ლექსებზე შექმნილი სიმღერებით მუსიკალურად აფორმებდნენ: **ცენტრთან არსებული ანსამბლები: ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „დიდება“, გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „კალთა“ და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ეროზა“. ღონისძიებას ესწრებოდნენ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი კობა გელაძე, მერის მოადგილეები – კახა ღუდუშაური და გია გუჯარაიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ ზილინაშვილი, მოადგილე დავით ჩოფიკაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.**

# ევროპელთა ზღაპრული მოგზაურობის ძველი ამბები

**ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში ევროპელთა ზღაპრული მოგზაურობის ამბებს გვიყვება.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, დროებით ექსპოზიციაზე, რომელიც წიგნის მუზეუმის მუდმივმოქმედი გამოფენის პარალელურად არის მოწყობილი, წარმოდგენილია XIX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა ევროპულ ენაზე დაბეჭდილი იშვიათი გამოცემები ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდიდან.

ევროპელი მოგზაურების გზა აღმოსავლეთისკენ ხშირად საქართველოზე გადიოდა და ეს ცალკეულ გამოცემებში საგანგებოდაა აღნიშნული. მაგალითად, მოგზაურ ფრეიგანგის წიგნს, რომელიც 1817 წელსაა გამოცემული, ეწოდება „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“.

წიგნებში მოთხრობილია ევროპელი მოგზაურების მიერ აღწერილი ამბები თურქეთზე, სირიაზე, ეგვიპტეზე, ქალაქ ქაბულზე, კორეაზე და ა. შ. დამთვალიერებლების ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს ილუსტრაციები, რომლებიც საინტერესო ამბებს ერთვის თან. გამოცემების გამორჩეულ პოლიგრაფიაზე მეტყველებს გრავიურები, რომელთა დიდი ნაწილი ხელითაა გაფერადებული. აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი ჭრელი, ხასხასა ფერები თითქმის უცვლელადაა შემორჩენილი, რაც ექსპოზიციას კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის. აქვე ვხვდებით რუკებსაც, რომლებზეც ასახულია ქვეყნები, სადაც წიგნების ავტორებმა იმოგზაურეს.

ამ საინტერესო გამოფენის პარალელურად ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზემის დამთვალიერებელი გაეცნობა პირველ ქართულ გამოცემებს, მეფე ვახტანგ VI-ის მიერ დაბეჭდილ წიგნებს, ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკას, „ვეფხისტყაოსნების“ უნიკალურ კოლექციას და სხვა.






საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაზელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „ფავორიტში“
აბელ ენუქიძის N5
ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი
uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 თებერვალს**